# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 24 მარტი, 2010 წელი.

№54 (6420)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შემიძლია, ხმამაღლა, მთელი მსოფლიოს გასაგონად ვიყვირო და ამის მტკიცებულებებიც დავდო, რომ არსებობს ერთი ტერორიზმი და ამას რუსული ტერორიზმი ჰქვია.

ექსკლუზივი



③

ანზორ მასხაძე: 

## საქართველო იყო და იქნება კავკასიის ცენტრი

ნათელა ხუნდაძე:

⑦

## საზოგადოება ჩვენ ვართ, ოღონდ ეს დაგვავიწყეს

## SOS!

## ადგილობრივი პროდუქციაა? ესე იგი, უხარისხოა!

⑤

## 1937 წლის გამოცანის ამოხსნა

„საუკუნის დანაშაული“ თუ ქვეყნის გადარჩენა?

⑨

# შაჰ-აბაზს კი გადავურჩით, მაგრამ შენ გადაგვირჩები?

2005 წლის ნოემბრის ერთ მშვენიერ დღეს, მაშინ ჯერ კიდევ ახალი პრეზიდენტი მიხეილი მეტალურგიის ახლადგამოჩეკილ მეპატრონესთან, ვინმე ჯოზეფ ქეისთან ერთად რუსთაველებს მეტალურგიის სრული ციკლით ამუშავებას და იქ 8000 კაცის დასაქმებას შეჰპირდა. დღეს ქარხნის კარები დაგმანულია, ქალაქის ხელისუფალთ შიგ არც შეახედებენ, დანარჩენი 40-ზე მეტი საწარმო-დაწესებულებიდან, მხოლოდ „აზოტი“ მუშაობს და იქაც ამცირებენ მუშახელს. უმუშევრობა კლავს ჩვენს ქალაქს.



④

ხედვა ნიუ-იორკიდან

④

## „საქართველოს პოლიტიკა რუსეთის პოლიტიკის სარკისებრი ანარეკლი არაა...“






## ახლება საარჩევნო დანაპირები?

②

მწარე რეალობა

## საქართველოს დაქცეულ ეკონომიკას ორმოდან ვითომ თავისუფალი ინდუსტრიული ზონები ამოიყვანს?

⑤

## გიორგი თარგამაძე ხელისუფლებას ადანაშაულებს

②

გიგი ხორნაული

## ჩემი საუთრო-სამზეო

⑥

## სოხუმი მინდით არ მაქრობს

⑧

## ქალაქში — უჩინმაჩინის ქუდით

⑪

ორი პატარა რეპორტაჟი თბილისის ცხოვრებიდან

## ასე ვერ გავფრინდებით!

⑩

◉ მერობის კანდიდატი

# ახდება გია ჭანტურიას საარჩევნო დანაპირები?

## გაზი – 10 თეთრი, დენი – 5 თეთრი, წყალი – უფასო! ცხოვრებაც საამურია, თუ ეს რეალურია

**საკმაოდ ამბიციური პროექტი უწოდეს ექსპერტებმა თბილისის მერობის კანდიდატის გია ჭანტურიას დაპირებას: გაზი — 10 თეთრი, დენი — 5 თეთრი, წყალი — უფასო. თუმცა ამაში ოდნავადაც არ ეპარებათ ეჭვი თავად მერობის კანდიდატსა და მის ზურგს უკან მდგომ ქრისტიან-დემოკრატებს.**




„თბილისი-მარიოტში" გია ჭანტურიას პროგრამის პრეზენტაციაზე თავი მოიყარეს ენერგეტიკის პრობლემებზე მომუშავე სპეციალური მუშა ჯგუფის, ენერგეტიკისა და ეკოლოგიური აკადემიის წევრებმა, ქართველმა მეცნიერებმა და ექსპერტებმა. სწორედ მათ წინაშე მოუწია გია ჭანტურიას იმის მტკიცება, რამდენად რეალურია ეს ტარიფები, რა აძლევს ოპტიმიზმის საფუძველს, თუ ის მხოლოდ წინასაარჩევნო დაპირება და მითია, რომელიც არჩევნების დამთავრებისთანავე მირაჟივით ქრება. **ენერგორესურსებზე არის ძალიან მაღალი ტარიფები, ასეთ პირობებში შეუძლებელია ბიზნესის განვითარება, ტარიფების შემცირება კი დღესვე არის შესაძლებელი**, — ირწმუნება გია ჭანტურია.

როგორც ვიცით, ამჟამად გაზის მოქმედი ტარიფი მოსახლეობისთვის 51 თეთრია, ხოლო წარმოებისთვის — 75 თეთრი. ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის გამტარუნარიანობა დღეს არის 6,6 მლრ კბმ, საიდანაც საქართველოს 5 პროცენტი, ანუ 330 მლნ კბმ ეკუთვნის უფასოდ წელიწადში. რუსეთ-სომხეთის გაზსადენიდან 10 პროცენტი, ანუ 200 მლნ კბმ წელიწადში ასევე უფასოდ ეკუთვნის საქართველოს.

წელიწადში მილიარდ 200 მილიონი კბმ გაზი სჭირდება ჩვენს მოსახლეობას (დანარჩენი საჭირო გაზიდან — 500 მილიონ კუბურ მეტრს წელიწადში 55 დოლარად (ყოველი ათასი კუბური მეტრისთვისძ, ხოლო 200 მილიონ კუბურ მეტრს — 160 დოლარად (ასევე ყოველი ათსი კუბური მეტრისთვისძ ვყიდულობთძ. ამის გათვალისწინებით, ჯამური გაანგარიშებით, 1 კბმ გაზის თვითღირებულება დღეს 10 თეთრს არ უნდა აღემატებოდეს. ხოლო როცა სუფსის ინდუსტრიული ზონის ენერგეტიკული პროექტი განხორციელდება, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენში 30 მილიარდი კბმ გაზი გაივლის, საიდანაც უფასოდ მიღებული ხუთი პროცენტი, ანუ 1.500.000.000 კბმ გაზი მთლიანად დაფარავს საქართველოში გაზზე არსებულ დღევანდელ მოთხოვნილებას და ასევე შეამცირებს ელექტროენერგიის ტარიფს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ იგეგმება მიწისქვეშა გაზსაცავების აშენება. მსოფლიოში არსებული სტანდარტებით არსებობს ზამთრისა და ზაფხულის, ასევე დღისა და ღამის ტარიფები, რაც აიაფებს პროდუქციას, და რაც საქართველოშიც უნდა დამკვიდრდეს, — ამბობს მერობის კანდიდატი.

გია ჭანტურიას პროგრამაში დიდი ყურადღება ეთმობა გაზის კალორიულობას, დღეს გაზის კალორულობა დაბალია, მაგრამ ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენში ოთხი მაღალი წნევის წერტილია გათვალისწინებული, რაც ზრდის გაზის კალორიულობას. 11 ათასი კილო კალორიაა საჭირო ერთი ლიტრი წყლის 5 წუთში ასადუღებლად, ეს კი სრულიად ბუნებრივი მოვლენა გახდება ქართული რეალობისთვის სუფსის პროექტის ამოქმედებისთანავე.

რაც შეეხება ელექტროენერგიას, გაზისა და წყლის კომბინაციით შეიძლება იმდენი ელექტროენერგიის გამომუშავება, რაც დააკმაყოფილებს საქართველოს მოსახლეობას. თუ გაზის ფასი იქნება მინიმალური, ხოლო წყალი აბსოლუტურად უფასო, შესაბამისად, ცოტა იქნება გადასახადი ელექტროენერგიაზე. რაც შეეხება წყალს, თუ რატომ შეიძლება იყოს ის უფასო, გია ჭანტურია 10 დღეში კვლავ პრეზენტაციას გამართავს და ამის შესახებ დაწვრილებით მოუყვება საზოგადოებას.

სუფსის პროექტის განხორციელება იმედის მომცემია იმ მხრივაც, რომ იქ უნდა გადამუშავდეს ნავთობპროდუქტები. მაშინ საწვავის საშუალო ფასი იქნება დაახლოებით 70-80 თეთრი.

მინიმალური ფასების საკრალური ჯაჭვი გრძელდება... რაც შეეხება პურს, როცა ენერგორესურსების ტარიფი დაიწევს, წყალი კი უფასო გახდება, წისქვილკომბინატი იაფად დაფქვავს ფქვილს, ხოლო ეს ყველაფერი გაანახევრებს პურის ფასს, ამტკიცებს მერობის კანდიდატი.

გია ჭანტურიას ანგარიშით, დღეს თითოეული ოჯახი საქართველოში ენერგოშემცველ პროდუქტზე ხარჯავს შემოსავლის 62-85 პროცენტს, მაშინ როცა ევროპაში ეს რიცხვი არის 11 პროცენტი, ხოლო სხვა ნორმალურ ქვეყნებში — 20-22 პროცენტს არ აღემატება.

**ყველა ეს პროექტი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს და უნდა მოხდეს ინტერნაციონალიზაცია, აღნიშნავს მერობის კანდიდატი, ამის სამართლებრივი ბაზა არსებობს ქვეყანაში, რომელიც გამოხატულია 2001 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონში (ხელშეკრულებაში), თანახმად ვენის კონვენციისა.**

მოკლედ, ამ პროექტის ხორცშესხმა მომავალის პრეროგატივაა, მაგრამ, აქ მთავარი იმის წარმოდგენაა, თუ რამხელა კორუფცია ტრიალებს ქვეყანაში, რა უზარმაზარი ფულია ამოცლილი ჩვენი ჯიბეებიდან. თუ ეს პროგრამა განხორციელდება, საკმაოდ დიდი თანხა დარჩება ჩვენს ჯიბეში, თუმცა რა ეშველება დაკარგულს, ამას არავინ ჩივის. გიორგი თარგამაძემ დაიქადნა, ყველა დამნაშავე პირი სისხლის სამართლის კოდექსით გასამართლდებაო, რაც ნაკლებ სავარაუდოა ჩვენი ქვეყნის წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე.

ექსპერტებმა და ენერგეტიკის საქმის სპეციალისტებმა გია ჭანტურიას პროგრამა მოიწონეს და, ასე ვთქვათ, „ვიზა მისცეს". მაგრამ მას წინ მკაცრი კონსული ელოდება თბილისელი ელექტორატის სახით. სხვათა შორის, ქრისტიან-დემოკრატებმა საკმაოდ ალღოიანად დაიწყეს საარჩევნო კამპანია და გეზი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებისკენ აიღეს. **ჩვენი პარტიის პოლიტიკური დაკვეთა არის შემდეგი — ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობა, რომელიც საშუალო ფენის მოძლიერებას ემსახურება,** — აღნიშნა გიორგი თარგამაძემ.

**მეურნე კაცი და არა პოლიტიკოსი, — ასე შეაფასეს გია ჭანტურია ზოგადად. ის, ასე ვთქვათ, თბილისელებზე ზრუნვით იწყებს საარჩევნო კამპანიას, თუმცა ის პროგრამა და საარჩევნო სლოგანი, რომელიც ქრისტიან-დემოკრატების რჩეულს აქვს, ერთიანად მიმზიდველი და მომხიბვლელია სრულიად საქართველოსთვის. გაზი — 10 თეთრი, დენი — 5 თეთრი, წყალი — უფასო... იაფი პროდუქცია, დასაქმებული ადამიანები... კეთილდღეობა. და ცხოვრებაც საამურია, თუ ეს მართლაც რეალურია!**

**თეა მოსია**

◉ ინფორმაცია

## „ეროვნული ფორუმი" სკეპტიკურად აფასებს

**„ეროვნული ფორუმი" საქართველოს კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლის მიზნით საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის თაობაზე ოპოზიციური სპექტრის ნაწილის გადაწყვეტილებას სკეპტიკურად უყურებს.**

**— ჩვენ ასეთი ინიციატივების მიმართ სკეპტიკურად ვართ განწყობილი. არა იმიტომ, რომ ცუდი იქნება საერთაშორისო საზოგადოებამ გამოთქვას საკუთარი აზრი საქართველოს კრიზისიდან გამოყვანის გზებთან დაკავშირებით, არამედ იმიტომ, რომ წინააღმდეგები ვართ, ჩვენი ბედი სხვაგან გადაწყდეს, — განაცხადა „ეროვნული ფორუმის" ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი მელაშვილმა გუშინ გამართულ „დიდ ოპოზიციურ შეკრებაზე" პოლიტიკური უმცირესობის ნაწილის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე კომენტირებისას.**



**ამასთან, მისივე აზრით, საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან სურვილის შემთხვევაშიც „ასეთი კონფერენციის გამართვა შეუძლებელი იქნება".**

**— მიგვაჩნია, რომ მთელ ოპოზიციურ სპექტრს გვაქვს სამუშაო იმასთან დაკავშირებით, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას გავაგებინოთ, რომ სწორედ ჩვენი მოთხოვნებია სწორი და რასაც ხელისუფლება აკეთებს, ის არასწორი. არსებობს მეორე მომენტიც — ძალისხმევა უნდა მივმართოთ იმისკენ, რომ საზოგადოების კონსოლიდაცია მოხდეს ჩვენი მოთხოვნების გარშემო. რაც შეეხება მესამე მომენტს, ოპოზიციის სახეს არ უნდა წარმოადგენდეს და ამ მოთხოვნებს არ უნდა აჟღერებდეს ისეთი ოდიოზური ფიგურა, როგორიცაა ზურაბ ნოღაიდელი, — განმარტავს მელაშვილი.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

◉ SIC!

## გიორგი თარგამაძე ხელისუფლებას ადანაშაულებს

**ქრისტიან-დემოკრატები ეჭვობენ, რომ საქართველოს ხელისუფლება რუსეთის ხელისუფლებასთან ფარულ მოლაპარაკებებს მართავს რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრების საკითხთან დაკავშირებით, — განაცხადა ქრისტიან-დემოკრატების ლიდერმა გიორგი თარგამაძემ გუშინ სესიაზე. როგორც მან აღნიშნა, ვრცელდება ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო აპირებს რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებაზე თანხმობის გაცხადებას.**

**— ეს კი ორმაგი დანაშაულია და საჭიროა ხელისუფლებამ გააკეთოს მკაფიო განმარტებები, — აცხადებს თარგამაძე.**

**— ეს ჩათვალეთ დეპუტატის შეკითხვად და ნებისმიერი ფორმატით მოვიდეს მთავრობის წარმომადგენელი და საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. არ შეიძლება ამ სახის გადაწყვეტილებები საზოგადოების ზურგს უკან მიიღებოდეს, — აცხადებს თარგამაძე.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

◉ პრესკონფერენცია

## შეიქმნა ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისია

**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ გუშინ პრესის წარმომადგენლებს ახალი სამუშაო გეგმა გააცნო. ადვოკატთა ასოციაციამ შექმნა ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისია, რომლის ხელმძღვანელადაც ადვოკატი მალხაზ ჯანგირაშვილი დაინიშნა. კომისიის მიზანია უკანონოდ დაპატიმრებული ადვოკატების საქმეების შესწავლა. ჯანგირაშვილის თქმით, ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისია საქართველოში ადვოკატთა მდგომარეობის შესწავლას იწყებს და პირველი ნაბიჯები სხვადასხვა დროს დაკავებული ადვოკატების საქმეების შესწავლით გადაიდგმება.**

ასევე, შეიქმნა რამდენიმე კომიტეტი, რომელთაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები ჩაუდგებიან სათავეში. მალხაზ ჯანგირაშვილის განცხადებით, კომისია დაპატიმრებული ადვოკატების სისხლისა და ადმინისტრაციულ საქმეებს შეისწავლის და რეაგირებას მოახდენს ადვოკატების დარღვეულ უფლებებზე. ასევე დასძინა, რომ კომისია შეისწავლის ადვოკატის პრეტენზიებს. კომისიის მიზანია, ასევე, ყველა ადვოკატის საქმიანობაზე ინფორმაციის მოპოვება და დაკავებულთა საქმის შესწავლა.

ჯანგირაშვილის თქმით, კომისიამ უკვე შეადგინა ანკეტა-კითხვარი, რომელიც ასოციაციაში გაერთიანებულ ყველა ადვოკატს გაეგზავნება, რაც დროულად მოაგვარებს ადვოკატთა პრობლემებს, კლასიფიკაციასა და რეკომენდაციებს მოამზადებს.



ასოციაციის თავმჯდომარემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ დღემდე მიკერძოებულმა მართლმსაჯულებამ ვერ უზრუნველყო დაკავებული ადვოკატების საქმეების სამართლიანად განხილვა. კომისია კი ასეთი ადვოკატების შესახებ მოამზადებს პირველად და საბოლოო დასკვნას. დასკვნას მოამზადებს ორი ჯგუფი: ადვოკატთა კორპუსისგან დაკომპლექტებული და, ასევე, საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდებიან კომპეტენტური ადამიანები.

ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელის განცხადებით, ადვოკატის პროფესია უგულებელყოფილია, რასაც ადასტურებს ის, რომ 4000-კაციან ასოციაციაში 200-მდე ადვოკატი პატიმრობაში იმყოფება. ჯანგირაშვილის შეფასებით, მართლმსაჯულება ვერ უზრუნველყოფს ეფექტიან სასამართლოს, რადგანაც საამისოდ არ არსებობს პოლიტიკური ნება. მისი თქმით, ქვეყანაში არასწორი სისხლის სამართლის პოლიტიკა ტარდება. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ითხოვს, რომ ქართულ მედიას კვლავ მიეცეს სასამართლო პროცესზე დასწრებისა და ვიდეო და აუდიოჩანაწერების განხორციელების საშუალება.

**ხატია მუსერიძე**

◉ „კავკასიური ომის წრე“



**ექსკლუზიური ინტერვიუ ჩეჩნეთის პრეზიდენტის ასლან მასხადოვის შვილთან, ჩეჩნეთის მეორე ომის დროს არაღიარებული რესპუბლიკა იჩქერიის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელთან ანზორ მასხადოვთან.**

# საქართველო იყო და იქნება კავკასიის ცენტრი

**— ბატონო ანზორ, მამის სიკვდილის შემდეგ განაცხადეთ, რომ მის პოლიტიკას გააგრძელებდით და ჩეჩნეთის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას განაგრძობდით. სად არის ანზორ მასხადოვი და რას მოღვაწეობს იგი დღეს?**

— დიახ, მამაჩემის მკვლელობის შემდეგ მსგავსი განცხადება გავაკეთე, თუმცა რუსული მედიის საშუალებით ამ ინფორმაციას არასწორი ინტერპრეტაცია მიეცა. დაწერეს, თითქოს მე პრეზიდენტობა მსურდა, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. არასოდეს მიფიქრია პრეზიდენტობაზე, რადგან ჩემთვის ეს თანამდებობა ძალიან დიდ პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, თუ რა განცხადება გავაკეთე მას შემდეგ, რაც ჯოხარ დუდაევი, ზელიმხან იანდარბიევი, აბდულ ხალიმი და მამაჩემი მოკლეს: „არაფერი არ მთავრდება და ჩვენი ბრძოლა გრძელდება. ჩვენ ყველა ერთად ამ ბრძოლას გავაგრძელებთ“. იმით, რომ ახლა თბილისში, საკუთარ — კავკასიის მიწაზე ვიმყოფები და სიტყვით გამოვდივარ კონფერენციაზე, სადაც მხოლოდ სიმართლეს ვამბობ, მამაჩემის პოლიტიკას ვაგრძელებ. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს ჩვენი სიმართლე არ მოსწონს და ჩვენს ოჯახზე არაერთი ზეწოლა განხორციელებულა, ამის კეთებას ყველა ტრიბუნის საშუალებით გავაგრძელებ. სამწუხაროდ, გასაგები მიზეზების გამო ჩეჩნეთის დატოვება მომიწია და ევროპაში მიწევს ცხოვრება.

**— თქვენ განაცხადეთ, რომ რუსეთის მხრიდან თქვენი ოჯახის მიმართ ზეწოლა და მუქარა ხორციელდებოდა. რამდენად უსაფრთხოდ გრძნობთ თავს ევროპაში?**

— რა თქმა უნდა, ვფრთხილობ. ვიცი, საიდან შეიძლება, მომდინარეობდეს საშიშროება, თუმცა ამ ყველაფერს უკვე მივეჩვიე. შესაძლებლობა რომ მქონდეს, ჩეჩნეთში, ჩემს სახლში ვიცხოვრებდი. როგორც გითხარით, ჩვენს ოჯახზე უზარმაზარი ზეწოლა და დევნა იყო გამოცხადებული, განურჩევლად იმისა, რომელ ქვეყანაში ვიმყოფებოდით — თურქეთში თუ აზერბაიჯანში. ახლა უკვე არ მინდა ჩეჩნეთში დაბრუნება, რადგან იქ ყველა მიცნობს და არ მინდა ვინმემ რამეში გამომიყენოს. ყველა პოლიტიკური რეჟიმი ხომ იცვლება?! იმედი მაქვს, რომ ეს რეჟიმიც შეიცვლება და სახლში დაბრუნება შემეძლება.

**— ასლან მასხადოვის სიკვდილის შესახებ მრავალი ვერსია არსებობს და ერთ-ერთის თანახმად, მასხადოვი ნათესავმა მოკლა... თქვენი ინფორმაციით, ვის შეეძლო მოეკლა მამათქვენი?**

— დიახ, მკვლელობის სხვადასხვა ვერსიები ვრცელდება. სწორად აღნიშნეთ, ამბობენ, რომ მამა ჩვენმა ნათესავმა მოკლა. საუბრობდნენ ასევე იმაზეც, რომ მამაჩემი რუსებთან შეხვედრაზე წავიდა და იქ მოკლეს. შემიძლია დანამდვილებით ერთი რამ გითხრათ: მამაჩემი იმ ადამიანებმა მოკლეს, რომლებსაც რუსეთთან მშვიდობის შესახებ შეთანხმების გაფორმება არ სურდათ. მამაჩემმა ჯერ შერიგების შესახებ გააკეთა განცხადება, რის შემდეგაც ემარ ხამბიევს რუსულ მხარესთან მოლაპარაკებები უნდა გაემართა და საფუძველი მოემზადებინა ორი პრეზიდენტის შეხვედრისთვის, რომელიც ნეიტრალურ ქვეყანაში უნდა გამართულიყო.

**— როცა განვლილ წლებს იხსენებთ, თვლით, რომ მნიშვნელოვანი შეცდომები იყო დაშვებული, მათ შორის — მამათქვენის მიერაც?**

— იცით, ამაზე ბევრი მიფიქრია. პირველი ომის შემდეგ არ იყო ერთიანობა. ეს რომ ყოფილიყო, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა და ის საშინელი სურათი არ შეიქმნებოდა, რაც დღეს კადიროვის ხელისუფლების სახით გვაქვს. მაშინ ყველას თავისი ინტერესები გაუჩნდა. ომის დასრულების შემდეგ ჩეჩნეთში რუსი ჩინოვნიკები და ოლიგარქები დოლარებით სავსე ჩემოდნებით ჩავიდნენ, ასევე ჩადიოდნენ ემისრები არაბული ქვეყნებიდან. შედეგად ჩეჩნეთში „იოლი ფული“ გაჩნდა. ამის შემდეგ რუსი სამხედროები ადამიანებს აკავებდნენ და მერე ჰყიდნენ, ასევე ვაჭრობდნენ ცხედრებით. ჩეჩნები კი რუსი ოფიცრებისგან ჯარისკაცებს ყიდულობდნენ, რათა შემდგომ ტყვედ მყოფ საკუთარ ნათესავებზე გაეცვალათ. ასე დაიწყო ჩეჩნეთში ტყვეთა გაცვლის ბიზნესი. რესპუბლიკას სხვადასხვა მხარეს ექაჩებოდნენ. როცა ბასაევი პრეზიდენტი ვერ გახდა, გადაწყვიტა, კავკასიის იმამი გამხდარიყო. ხელისუფლებაში მოსვლა ვახა არსანოვსა და „ჯამაათის“ ლიდერებსაც სურდათ. ასე რომ, დღევანდელი შედეგი ჩვენში ერთიანობის არარსებობის ბრალია.

**— რამდენადაც ცნობილია, ჩეჩნეთის ამჟამინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის დევნილი ხელისუფლების წარმომადგენელს ახმედ ზაკაევს შორის შეხვედრა გაიმართა, რომლის შემდეგაც ზაკაევმა განაცხადა, რომ მოლაპარაკებები პროდუქტიული იყო და ამ ეტაპზე მთავარი ამოცანა ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული სიტუაციიდან არა საომარი, არამედ პოლიტიკური გამოსავლის პოვნის მცდელობაა. რა არის თქვენთვის ცნობილი აღნიშნული შეხვედრისა და მისი შედეგების შესახებ?**

— პირადად მე ამ შეხვედრის წინააღმდეგი ვიყავი. არც ჯოხარ დუდაევი, არც ზელიმხან იანდარბიევი და სხვები არასოდეს შეხვდრიან იმ ადამიანებს, რომლებიც მოღალატეები არიან. ისინი ხომ კრემლის თამაშს თამაშობენ?! მოღალატე ყოველთვის მოღალატედ დარჩება და მათთან შეხვედრას უბრალოდ აზრი არ აქვს. მდგომარეობა, რომელიც სადღეისოდ ჩრდილოეთ კავკასიაში არსებობს, სწორედ ამ ხალხის პოლიტიკის შედეგია. ამ ყველაფერს მე პირადად მათ ვერასოდეს ვაპატიებ.

**— რუსი ექსპერტების შეფასებით, ჩრდილოეთ კავკასიაში არ არსებობს ისეთი ძალა, რომელიც ჩეჩნეთის, დაღესტნის ან ინგუშეთის დამოუკიდებლობისთვის იბრძვის და რეალურად კლანებს შორის გარჩევები მიმდინარეობს... თქვენ რა მოსაზრება გაქვთ ამასთან დაკავშირებით?**

— ბევრი ნაცნობი მყავს ჩეჩნეთში, რომელიც დღესაც ეომება რუსულ პოლიტიკას და ჯარს. ჩეჩნეთში რომ ვიყო, მეც ჩავერთვებოდი ამ ბრძოლაში. სადაც არ უნდა ვიყო, მხარს ვუჭერ კავკასიის რუსული ჯარისგან გათავისუფლებას. არიან ძალები, რომლებსაც უფრო რადიკალური პოლიტიკა აქვთ, თუმცა მათი „გარადიკალება“ კრემლის იმ პოლიტიკის შედეგია, რომელსაც ის ჩეჩენი ხალხის მიმართ ატარებს. ის, რაც „ნორდ-ოსტში“ და ბესლანში მოხდა, ხომ კრემლის გაუაზრებელი პოლიტიკის შედეგი იყო?! სანამ კავკასია რუსეთის მიერ იქნება ოკუპირებული, ბრძოლა მათ წინააღმდეგ გაგრძელდება. არის შემთხვევები, როცა ახალგაზრდები, რომლებიც ევროპაში ცხოვრობენ, იძულებულები არიან დაბრუნდნენ საკუთარ სახლებში იმისათვის, რომ იარაღით ხელში იბრძოლონ, რადგან ყოველდღე იგებენ, რომ მათი ნათესავები და მეგობრები კრემლის მიერ იხოცებიან. არიან სხვადასხვა ჯგუფები, მაგრამ ყველანი კავკასიის გასათავისუფლებლად იბრძვიან.

**— საუბარში აღნიშნეთ, რომ არსებობენ „უფრო რადიკალური ძალები“. ამ ძალებში „იმარატ კავკაზს“ ხომ არ გულისხმობთ და საერთოდ, გაქვთ თუ არა მასთან კავშირი?**

— ხედავთ ამ დროშას? — ეს რესპუბლიკა იჩქერიის დროშაა, რომლის ქვეშაც იჩქერიის იდეის მხარდამჭერი ძალიან ბევრი ადამიანი დაიღუპა. არ მივესალმები იმას, რომ სახელწოდება და დროშა შეცვალეს. მათ უბრალოდ ნაჩქარევი გადაწყვეტილება მიიღეს. ჯერ ომი უნდა მოგვეგო და მერე გვეფიქრა დროშისა და სახელწოდების შეცვლაზე. ეს ხალხისთვის უნდა გვეკითხა და არა ერთპიროვნულად შეგვეცვალა. რაც შეეხება ჩემს ურთიერთობებს „იმარატ კავკაზთან“, დღესაც არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, რომ მის წარმომადგენლებს შევხვდე და დაველაპარაკო. ჩვენ საერთო მიზანი გვაერთიანებს და ეს მიზანი რუსული ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაა. არ მინდა, მოვლადი უდუგოვის ცალკეული განცხადებების კომენტირება მოვახდინო. არ მიმაჩნია მიზანშეწონილად, ერთმანეთის კრიტიკით დავკავდეთ მაშინ, როცა ასეთი ომი გვაქვს რუსეთის წინააღმდეგ. კრემლის წინააღმდეგ ბრძოლამ მაინც უნდა გაგვაერთიანოს.

**— ქართველი ექსპერტების აზრით, საქართველომ 2008 წლის ომის შემდეგ კავკასიის რეგიონში თავისი მნიშვნელობა დაკარგა. ამას იმით ხსნიან, რომ რეგიონში სომხეთი და თურქეთი გააქტიურდნენ. იზიარებთ თუ არა მსგავს მოსაზრებას და თქვენი შეფასებით, რა როლი უკავია საქართველოს რეგიონში?**

— რაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ თბილისში უზარმაზარი კონფერენცია იმართება, რომელშიც არა მარტო ჩეჩნები, არამედ ჩერქეზები, აზერბაიჯანელები, ინგუშები და დაღესტნელები მონაწილეობენ? ჩვენ ყველანი სწორედ იმიტომ ჩამოვედით თბილისში, რომ მას რეგიონში თავისი ადგილი არ დაუკარგავს. ჩვენ უდიდეს პატივს ვცემთ ქართველებს. საქართველო იყო და იქნება კავკასიის ცენტრი და ამას კავკასიელი ხალხი ძალიან კარგად ხედავს. სწორედ ეს დავადასტურეთ თბილისში ვიზიტით.

**— რუსული მხარე საქართველოს ახალ ბრალდებებს უყენებს და აცხადებს, რომ ქართული მხარე „ბოევიკების“ ჩრდილოეთ კავკასიაში გადასვლას უწყობს ხელს. თქვენი აზრით, რაში სჭირდება რუსეთს მსგავსი განცხადებები?**

— თქვენ, ალბათ, კარგად გახსოვთ, რომ რუსულ-ჩეჩნური ომის დასაწყისში ჩეჩენი მებრძოლების გარკვეული ნაწილი საქართველოში, კერძოდ პანკისის ხეობაში იმყოფებოდა. აღნიშნული თავად ჩეჩნებისთვისაც არ იყო მომგებიანი. მამაჩემი ხშირად ეუბნებოდა იმ ადამიანებს, რომ საქართველოს ტერიტორია დაეტოვებინათ. ციტირებას მოვახდენ მამაჩემის სიტყვების: „დაუყოვნებლივ დატოვეთ და საერთოდ, თავი გაანებეთ საქართველოს. იქ ყოფნით თქვენ რუსეთის თამაშს ეწევით. ომი ჩეჩნეთში მიმდინარეობს და აქ უნდა იყოთ და არა საქართველოში იმალებოდეთ“. რაც შეეხება კრემლის მიერ გაკეთებულ ბოლო განცხადებებს, ეს უბრალოდ, სასაცილოა. საქართველოში „ბოევიკების“ შესახებ არაფერი მსმენია. საერთოდ, რომელ ტერორისტებზეა საუბარი?! შემიძლია, ხმამაღლა, მთელი მსოფლიოს გასაგონად ვიყვირო და ამის მტკიცებულებებიც დავდო, რომ არსებობს ერთი ტერორიზმი და ამას რუსული ტერორიზმი ჰქვია.

**— საქართველოს პარლამენტის ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების პარლამენტებთან მეგობრობის ჯგუფმა ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკების პარლამენტებს მიმართვა გაუგზავნა. ექსპერტების ნაწილი ამ მიმართვას დაგვიანებულს უწოდებს. თქვენ როგორ აფასებთ აღნიშნულ მიმართვას?**

— საქართველოს მართლაც შეეძლო აღნიშნული მიმართვა ბევრად უფრო ადრე გაეკეთებინა, თუმცა ვფიქრობ, რომ აუცილებელი არ არის ერთმანეთს მიმართვები გავუგზავნოთ. ჩვენ ხომ არა მარტო მეზობლები, არამედ მოძმე ერები ვართ?! ვინც ამას ვერ იგებს, მისი პრობლემაა. მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ. ჩვენ ყოველთვის ერთი მტერი გვყავდა და ეს მტერი ყველასთვის ცნობილია. ჩვენ ერთად უნდა დავიცვათ კავკასიის მიწა-წყალი.

**— და ბოლოს, კავკასიის მომავალს როგორ ხედავთ?**

— ის, რომ ახლა აქ ვართ და ვსაუბრობთ, კიდევ ერთხელ მარწმუნებს იმაში, რომ შეგვიძლია ერთმანეთს მოვუსმინოთ და გავუგოთ, რადგან ძალიან ბევრი საერთო გვაქვს. თქვენთან საუბრისას უკვე აღვნიშნე, რომ ერთიანობა რომ ყოფილიყო, დღეს სხვაგვარად ვიქნებოდით. თუ რუკას დახედავთ, თითქოსდა მთები გვყოფენ, არადა, რეალურად პირიქით არის: მთები გვაერთიანებენ და თუ ჩვენ მართლა ვიქნებით ყველა ერთად, ვერავინ გაბედავს ჩვენს დაჩაგვრას.

**ლევან ჭითანავა,**

**საინფორმაციო სააგენტო „პირველი“**

◉ აქცია

# ნიკა ივანიშვილი: მივესალმები შენებას, მაგრამ არა ნგრევის ფასად

**პოლიტიკური გაერთიანება „სახალხო დემოკრატების“ თბილისის მერობის კანდიდატმა ნიკა ივანიშვილმა, თანაპარტიელებთან ერთად გმირთა მოედანზე გუშინ აქცია გამართა. მან იქ მიმდინარე მშენებლობასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა.**

ნიკა ივანიშვილი: მივესალმები შენებას, ოღონდ არა ნგრევის ფასად, ესტაკადის მშენებლობას თან ერთვის ვერეს ხეობის გაჩეხვა, ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელ გზაზე კლდის მონგრევა და ყოვლად გაუაზრებლად, გმირთა მოედნის რეკონსტრუქცია. აგრეთვე არ არსებობს გმირთა მოედნის რე-



კონსტრუქციის გეგმა, ხელისუფლებას არაფერი უკითხავს გმირთა მოედნის ავტორისათვის, რომელიც ცოცხალია და ვფიქრობ, რომ ეს აუცილებელი იყო. იმ ბანერზე კი, როგორც იქნა, გვალირსეს და გამოფინეს, კოსმოსიდან გადაღებულ ფოტოზე, მხოლოდ წითელი ხაზია გავლებული. არ არსებობს პროექტი და პროექტის ხარჯთაღრიცხვა. უფრო მეტიც, ჩვენი პრეზიდენტი და თბილისის მერი ავტომანქანაში იღებენ გადაწყვეტილებას, თუ რა ძეგლი უნდა დაიდგას გმირთა მოედანზე. მავანი ამბობს, რომ ეს უნდა იყოს თერთმეტსართულიანი მაღლივი შენობა და მასზე უნდა ამოიტვიფროს გმირთა სახელები, ოღონდ არ გვეუბნებიან რომელი გმირების, 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულების, II მსოფლიო ომში დაღუპულების თუ ისტორიულ წარსულში დაღუპული გმირების.

ნიკა ივანიშვილი დაუშვებლად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ აღნიშნულ სამუშაოებთან დაკავშირებით გარემოს დაცვის სამინისტროს არ მოუთხოვია შესაბამისი ექსპერტიზა. „ჩვენი ქვეყანა აგებულია იმაზე, თუ როგორ ხასიათზე გაიღვიძებს პრეზიდენტი, ასეთი უპასუხისმგებლობა უნდა შეწყდეს. ჩვენ აღარ დავუშვებთ მომავალში ამდაგვარ ბაქანალიას და ჩვენი თანამოქალაქეების თანადგომის იმედი გვაქვს“, — განაცხადა მერობის კანდიდატმა.

**მერი ქურასბედიანი**

ხედვა




# „საქართველოს პოლიტიკა რუსეთის პოლიტიკის სარკისებრი ანარეკლი არაა...“

***ინტერვიუ** საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს კონსულტანტთან, საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხების სპეცილისტთან, Jamestown Foundation-ის (აშშ) ანალიტიკოსთან და Yale-ის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრთან გიორგი ყველაშვილთან.*

**– ბატონო გიორგი, როგორ შეაფასებდით სიტუაციას, რომელიც დღეისათვის როგორც რუსეთის, ასევე დასავლეთის მხრიდან საქართველოსთან მიმართებაში შეიქმნა?**

– უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო ის გარემოება, რომ საქართველო არის არა რაღაც ობიექტი საერთაშორისო დინამიკაში, რომელზედაც რუსეთი ან სხვა დიდი მოთამაშე მუდმივად ზემოქმედებს, არამედ წარმოადგენს სუბიექტს, რომელსაც აქვს არა მარტო თავისი ეროვნული ინტერესები, არამედ ამ ინტერესების გატარების საშუალებები. საქართველო რომ უბრალო ობიექტი იყოს, ჩვენი გადარჩენის ალბათობა ნული იქნებოდა. თბილისის სტრატეგია, რომელიც გულისხმობს საქართველოს მნიშვნელობის ზრდას და ამავდროულად დასავლეთის უსაფრთხოების, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში ჩვენი სახელმწიფოს შეუქცევად და ორგანულ ინტეგრაციას, მოითხოვს მოთმინებას, რეფორმებსა და მოდერნიზაციას. პანიკითა და შიშით ამ სტრატეგიას ვერ განახორციელებ, უბრძოლველად კი მშვიდობას ვერ მოიპოვებ. საფრანგეთის მიერ „მისტრალის“ მიყიდვა და რუსეთის მიერ მისი შეძენა, რამდენად პარადოქსულადაც უნდა მოგეჩვენოთ, ფაქტობრივად ორი სხვადასხვა მოვლენაა: მოსკოვი ამას აღიქვამს მისი „ნულოვანი ჯამის“ პოლიტიკის გამარჯვებად და დასავლეთის დასუსტების გზით საკუთარი შესაძლებლობების ზრდად, პარიზი კი – საერთაშორისო თანამშრომლობისა და ჩართულობის პოლიტიკის გამოვლინებად, რომელიც ხელსაყრელია დასავლეთისთვისაც და რუსეთისთვისაც.

ჩვენი შეშფოთება გასაგებია, მაგრამ რეალისტურად უნდა შევაფასოთ არსებული ვითარება. პანიკა დაუშვებელია. ეს მხოლოდ გაუძლიერებს რუსეთს იმის აღქმას, რომ იგი ყოვლისშემძლეა. სინამდვილეში, რუსეთს შეზღუდული შესაძლებლობები აქვს და იძულებულია, ანგარიში გაუწიოს საერთაშორისო გარემოებებს. რა თქმა უნდა, კრემლი ყველანაირად ცდილობს საქართველოს იზოლაციას და ჩვენგან დასავლეთის ჩამოცილებას.

**– პანიკის არსებობა-არარსებობას, მგონი, მნიშვნელობა აღარ აქვს. სავაჭრო გარიგება შედგა, საუბარი საფრანგეთისა და საქართველოს პრეზიდენტებს, საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის – არა. ახლა კი ესპანეთის სამხედრო გემი „ხუან კარლოსი“ ჩადგა რიგში. როგორია საქართველოს სახელმწიფო პოზიცია და რატომ არაა იგი ოფიციალური ტექსტით გამოხატული?**

– „მისტრალის“ საკითხი არ არის მარტო საქართველოს თავსატეხი. ბალტიის ქვეყნები, პოლონეთი და ევროკავშირის წევრი სხვა სახელმწიფოებიც უკმაყოფილებას გამოხატავენ ამ გარიგების გამო. კარგი იქნებოდა, რომ რუსეთისთვის „მისტრალის“ მიყიდვის საწინააღმდეგო კოალიცია შექმნილიყო, მაგრამ ჯერჯერობით ეს არ გამოვიდა და არა მგონია, ეს ჩვენი ბრალი იყოს. პრეზიდენტმა სააკაშვილმაც და საქართველოს მთავრობის მაღალი დონის წარმომადგენლებმაც ყველა ღონეს მიმართეს, რათა დასავლეთისათვის აეხსნათ, თუ რა პოტენციურ პოლიტიკურ და სამხედრო რისკებს შეიცავს რუსეთის სამხედრო ძლევამოსილების ზრდა. გადაავლეთ თვალი დასავლეთის პრესას, „მისტრალის“ გარიგების გამო ძირითადად უარყოფითი მოსაზრებები გამოითქმება. ეს ჩვენი დამსახურებაცაა. მუშაობა უნდა გაგრძელდეს ჩვენი მხრიდანაც და ევროკავშირისა და ნატოს წევრი სახელმწიფოების მხრიდანაც, რათა პოლიტიკური და სამხედრო რისკები საფრთხეებში არ გადაიზარდოს. საქართველოს უსაფრთხოების მყარი გარანტიები სჭირდება, რადგანაც მხოლოდ გაერო და ეუთო ჩვენს უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფენ სულ უფრო ანტისისტემური რუსეთის პირისპირ, რომელიც, სხვათა შორის, ორივე ორგანიზაციის დანგრევას ცდილობს.

**– ხომ არ თვლით, რომ რუსეთისთვის „მისტრალის“ მიყიდვა ქართული დიპლომატიის აშკარა ჩავარდნაა? საგარეო საქმეთა სამინისტრომ საპროტესტო ნოტის გაგზავნაც „ვერ მოახერხა“.**

– პირიქით, დააკვირდით დინამიკას. რა ხდებოდა ადრე, მაგალითად, ათი წლის წინათ, როცა საქართველოს არავინ არაფრად აგდებდა და დღეს რა ხდება, როცა დასავლეთის ოფიციალური პირებიცა და მედიაც „მისტრალს“ არ ახსენებენ საქართველოს კონტექსტის გარეშე. არა მგონია, მოსკოვს გულს უხარებდეს „მისტრალის“ საკითხის ასეთი გახმაურება. საერთაშორისო ტრანსპარენტულობა აგრესიის შეკავების ერთ-ერთი საშუალებაა და მჯერა, რომ „მისტრალის“ ყოველი გადაადგილება საერთაშორისო მედიის ყურადღების ქვეშ მოექცევა იმაზე ბევრად უფრო ადრე, ვიდრე რუსეთი მორიგ აგრესიას განახორციელებს მისი საშუალებით.

**– როგორ ფიქრობთ, „ედინაია როსიასთან“ ლეგალური დაახლოებით, საქართველოს ერთ-ერთმა პარტიამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა დე ფაქტოდ სცნო? რა შეიძლება მოჰყვეს ამ ნაბიჯს?**

– ეს უფრო იმას ნიშნავს, რომ საქართველოს პრორუსულ ძალებში ნოღაიდელი და მისი პოლიტიკური მოკავშირეები მოსკოვის ჰეგემონიასა და გავლენის სფეროებს აღიარებენ. სხვათა შორის, ნოღაიდელის პარტია პიონერი როდია ამ საქმეში; მან ხომ იგივე გააკეთა, რაც „ჰამასმა“, რომელმაც ასევე აღიარა რუსეთის უფლება, ჰქონდეს გავლენის სფეროები. არა მგონია, „ჰამასის“ გვერდით დადგომა დასაკვეხნი მიღწევა იყოს ნოღაიდელის პარტიისათვის. ამასთან, „ედინაია როსიასთან“ შეთანხმების ხელმოწერით ნოღაიდელმა გვაჩვენა თავისი პოლიტიკური სტრატეგიაც, რომელშიც დემოკრატია მხოლოდ საშუალებაა მიზნის მისაღწევად. თავის დროზე „ედინაია როსიაც“ და „ჰამასიც“ ხელისუფლებაში დემოკრატიის გამოყენებით მოვიდნენ, ხელისუფლებაში დამკვიდრების შემდეგ კი დემოკრატიისა და თავისუფლების საფუძვლების ნგრევა დაიწყეს. ეჭვი მაქვს, რომ „ჰამასთან“ პარალელები მარტო ამ თვალსაზრისით არ არის ნიშანდობლივი: ყურადღება მიაქციეთ ნოღაიდელის რიტორიკის ცვლილებას ბოლო ერთი წლის განმავლობაში და ამ კაცის მზარდ ამბიციებს, მეამბოხე გამონათქვამებსა და მის ბოლოდროინდელ აღიარებას, რომ რუსეთის მორიგი ინტერვენციის შემთხვევაში პირველ რიგში საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ გაილაშქრებს. ეს არა მარტო რუსეთის მე-5 კოლონის ლეგიტიმაციის მცდელობაა, არამედ ადასტურებს იმასაც, რომ ნოღაიდელს დემოკრატია სუსტ მმართველობად მიაჩნია, რომელსაც თავდაცვა არ შეუძლია. ნოღაიდელი მწარედ ცდება ამ შეფასებაშიც და რუსეთის შესაძლებლობების გაზვიადებაშიც.

**– ნინო ბურჯანაძე მოსკოვის შემდეგ ბრიუსელში გაემგზავრა. ნოღაიდელი, როგორც ჩანს, ამას ჯერ არ აპირებს. როგორ ფიქრობთ, რატომ? დიდად თუ მცირედ რას სცვლის ის ფაქტი, რომ ბურჯანაძე რუსეთს ოკუპანტს არ უწოდებს?**

– ნინო ბურჯანაძე მხოლოდ თავის თავს წარმოადგენს ამ „მოლაპარაკებებზე“, რადგანაც მას არანაირი მანდატი არა აქვს. იგივე ითქმის ნოღაიდელზეც. რბილად რომ ვთქვათ, ის, რასაც ისინი აკეთებენ, თავნებობა და ამპარტავნებაა. რა თქმა უნდა, არიან ადამიანები ბრიუსელშიც, რომელთაც საქართველოს პრობლემები ყელში ამოუვიდათ და სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხს რუსეთთან „მშვიდობა“ ურჩევნიათ. ჯერ ერთი, ასეთი ადამიანები უმცირესობას წამოადგენენ, მეორეც, ისინი ახლომხედველები არიან და მესამეც, საქართველოს სუვერენიტეტი მარტო ჩვენი სახელმწიფოს პრობლემა არ არის, რადგანაც მისი დარღვევა ევროპულ და საერთაშორისო უსაფრთხოების არქიტექტურას მოშლის. ამდენად, საქართველოს სუვერენიტეტის შენარჩუნება დასავლეთის ინტერესიცაა.

**ია მერკვილაძე,**
**ნიუ-იორკი, აშშ**

**(დასასრული იქნება)**

მათქმევინეთ!

# შაჰ-აბაზს კი გადავურჩით, მაგრამ შენ გადაგირჩებით?

***წყნეთში**, იუნკერთა მემორიალის გახსნისას, თქვა სააკაშვილმა, შაჰ-აბაზს გადავურჩითო.*

*განა მარტო მას, თემურ ლენგს, რომელმაც რვაჯერ გადაუარა საქართველოს. ჯალალედინსაც, მურვან ყრუსაც, რუსთავქალაქი რომ ამოძირკვა... კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, დღემდე ყველა მომხვდურს გადავურჩით, აი მიშა სააკაშვილისნაირ შინაურს კი ვეღარ გადავურჩებით!*

*იმ გადამთიელებს იმიტომაც გადავურჩით, გარეშე მტრები რომ იყვნენ. შაჰ-აბაზმა კი წაასხა, თანაც დედაწულიანად, 300 ათასი კაცი ქართლ-კახეთიდან, მაგრამ მაშინ სოფელი ძლიერი იყო, მთაში სიცოცხლე დუღდა, მომხდურსაც საკადრის პასუხს სცემდნენ. მარტო სამასი არაგველი რად ღირდა! დღეს კი არაგვის ხეობაში სამას კაცს ვეღარც კი მოიძევ.*

საუკუნეების მანძილზე ვიბრძოდით, ჯოჯოხეთს გამოვაღწიეთ, მერე ისევ მოვმრავლდით, აგერ გასულ საუკუნეში, სხვაზე რომ არაფერი ვთქვა, მარტო რუსთავის აღორძინება ხომ იყო დიდი მოვლენა, 170-ათასიანი ქალაქი, ქვეყნის მესამე ინდუსტრიული ცენტრი რომ აღორძინდა, მაშინ საქართველოს ყველა კუთხიდან მოსახლეობა აქეთ მოედინებოდა.

და მრავლდებოდა ქალაქი. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ოთხმოცდაათიან წლებში მე რუსთავის დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე ვიყავი. მაშინ ხუთასზე მეტი მრავალშვილიანი დედა იყო ამ ორგანიზაციის წევრი, ბევრ მათგანს 13, 11, 10 თუ 9 შვილი ჰყავდა, მრავალშვილიანების ათვლას ოთხშვილიანებიდან ვიწყებდით, იმის მიუხედავად, რომ ოჯახის უფროსებს სამსახურიც ჰქონდათ და რიგიანი ხელფასებიც, ჩვენ მათ ვეხმარებოდით ფინანსურად, ბინებით, ავეჯით, მსუბუქი ავტომანქანებით... ხელისუფლება მათ ყურადღებასა და მზრუნველობას არ აკლებდა.

მახსოვს, იმხანად რუსთავის თავკაცი თეიმურაზ ხაზარაძე ხშირად დამეკითხებოდა, კიდევ რითი შეგვიძლია დავეხმაროთ მრავალშვილიანებსო, მერე საწარმო-დაწესებულებათა მესვეურებს შეუძახებდა, ჩვენს ანგარიშზე დამატებითი თანხები გადმოერიცხათ... წამოზრდილებს სწავლაში ხელს ვუწყობდით, ახალგაზრდებს სამუშაოზე ვაწყობდით. ჰოდა, მრავლდებოდა კიდეც ერი, გვიხაროდა ქართველობა, იყო ლხინი და ქორწილები...

ახლახან ქალაქის მთავრობის ერთი გამორჩეული წევრი, ძველ დროში პარტიული ფუნქციონერი, კარგი ორგანიზატორი ქალბატონი შემხვდა.

– ბატონო გივი, ჩვენი ქალაქი ხომ სტაბილურია. ხალხს მშვიდი ცხოვრება მოენატრა.

– კი, უფრო მეტიც, მიძინებულ-დაჩმორებულია, როგორც ჩვენს პრეზიდენტს უყვარს გამოთქმა, ეგრეა-მეთქი.

– რატაო, – იწყინასავით.

– აბა კარგად დაფიქრდი, რუსთავი საქართველოში ერთადერთი ახალგაზრდული ქალაქი იყო, დღეს კი 20-25 წლის ასაკიდან 50 წლამდე ასაკის ჯანსაღ, შემოქმედ თაობას ვერ დალანდავ, დაიცალა ქალაქი, მართალია, საარჩევნო სიაში ძველებურად ისევე 100 ათასი ამომრჩეველი კი ჰყავთ, მაგრამ 90 ათასზე მეტი მოსახლე აღარ დარჩა და...

ჩემდა გასაკვირად, ამაში ისიც დამეთანხმა, – სამწუხაროდ.

სიმართლე უნდა ითქვას, მერიას სიკეთეს ვერ დაუკარგავ. ქალაქის ახალგაზრდა მერი, რუსთავში დაბადებული და გაზრდილი კაცი მამუკა ჩიქოვანი, ყველაფერს აკეთებს, რომ გაალამაზოს, დაამშვენოს აქაურობა. კეთილმოეწყო ქუჩები, ეზოები, გაზონები, ღამის ქალაქი გაბრდღვიალებულია, შუქიც არის, გაზიც, წყალიც, მაგრამ 90-ლარიანი პენსიონერი წყალში სამ ლარს რომ იხდის, გაზსა და ელექტროენერგიას ცეცხლი რომ უკიდია, ჭამაც ხომ უნდა, ჩაცმა-დახურვაზე არაფერს ვამბობ, ახალგაზრდებს სამუშაო ხომ უნდათ მარტო წელს რამდენიმე ათასი ქალიშვილი და ჭაბუკი ამთავრებს სკოლას, უმაღლეს სასწავლებელს, მერე...

2005 წლის ნოემბრის ერთ მშვენიერ დღეს, მაშინ ჯერ კიდევ ახალი პრეზიდენტი მიხეილი მეტალურგიის ახლადგამოჩეკილ მეპატრონესთან ვინმე ჯოზეფ ქეისთან ერთად რუსთაველებს მეტალურგიის სრული ციკლით ამუშავებას და იქ 8000 კაცის დასაქმებას შეჰპირდა. დღეს ქარხნის კარები დაგმანულია, ქალაქის ხელისუფალთ შიგ არც შეახედებენ, დანარჩენი 40-ზე მეტი საწარმო-დაწესებულებიდან, მხოლოდ „აზოტი“ მუშაობს და იქაც ამცირებენ მუშახელს. უმუშევრობა ჰკლავს ჩვენს ქალაქს.

რუსთავში ასაკოვანთ რომ შეხვდები, შეგეცოდება. ძლივს დალასლასებენ, შიმშილობენ და იმიტომ, მწირ ლუკმას იკლებენ და პატარებს უნაწილებენ. ახლახან ერთ გაზეთში ამოვიკითხე ქვეყნის სტატისტიკის სამმართველოს ცნობა – შარშან 43011 ადამიანი გარდაცვლილა, დაიბადა ბევრად ნაკლები, უმუშევართა რაოდენობა 16,5 პროცენტიაო. თუმცა საერთოდ ვინ მუშაობს, ვინ აკეთებს საქმეს, ვინ ქმნის პროდუქციას? ჭანჭიკი რომ ჭანჭიკია, ისიც გარედან შემოგვაქვს, ბაზარი გამოტენილია უცხოური საქონლით, ეს მაშინ, როდესაც მეტალურგიული კომბინატი, „აზოტი“, „ქიმბოჭკო“, რომლის ნაფუძვარიც აღარ დარჩა, და კიდევ რამდენიმე საწარმო 57 სახეობის დასახელების ფართო მოხმარების საქონელს ამზადებდა, თანაც მაღალი ხარისხისას, საიმედოს!

კიტრი, პამიდორი და ნიორი გარედან უნდა შემოგვქონდეს? არადა, მარტო გარდაბანი 130 ათას ტონა ბოსტნეულს მოიწევდა წელიწადში.

და განა მარტო რუსთავია ამ დღეში?.. თავის დროზე, როგორც ზონალური კორესპონდენტი (ასე მეძახდნენ რატომღაც) ხშირად ვიყავი გარდაბანში, მარნეულში, ბოლნისში, დმანისში, თეთრიწყაროში, წალკაში. ამ რაიონულ ცენტრებში კი არა, სოფლებშიც დუღდა სიცოცხლე, დღეს კი...

იმავე სტატისტიკური მონაცემებით, თითოეულ ადამიანზე ჯანმრთელობის, ფიზკულტურისა და დასვენებისათვის 3,5 მეათედი ლარი დახარჯულა შარშან. აბა ამას რა კომენტარი სჭირდება!

დღეს ავად გახდომა სიკვდილის ტოლფასია – ექიმს თუ გადაურჩი, აფთიაქში ვერ შეხვალ, ტყავს გაგაძრობენ, ხოლო იქ შეძენილი წამალი გიშველის თუ არა, ესეც საკითხავია – მის ხარისხს ხომ დღეს არავინ აკონტროლებს.

**ჰოდა, ასეა ბატონო პრეზიდენტო! კი გადავურჩით ათასი ჯურის მომხდურს, შინაური მტერიც არაერთი გვყოლია, მაგრამ იმასაც მოვერიეთ. აი, თქვენ გადაგირჩებით თუ არა, ნამდვილად საკითხავია!**

**გივი ჯახუა**

ფანტაზია და რეალობა

# საქართველოს დაქცეულ ეკონომიკას ორმოდან ვითომ თავისუფალი ინდუსტრიული ზონები ამოიყვანს?

***რამ ჩააგდო ქვეყნის ეკონომიკა ორმოში, თანაც იმ ქვეყნისა, რომელიც მსოფლიოში პირველ რეფორმატორად არის აღიარებული, ცოტა არ იყოს, გაუგებარია. ამიტომ შევეცდებით, ეკონომიკის ორმოში ჩავარდნის და ხალხის გაღატაკების მიზეზების ახსნას თავი ავარიდოთ და პირდაპირ მისი იქიდან ამოყვანის ისეთ უებარ და უმოკლეს გზას შევეხოთ, როგორიც თავისუფალი ინდუსტრიული ზონები გახლავთ. პრობლემისადმი ამდაგვარი მიდგომის გამართლებას თავად საქართველოს ხელისუფლება და პირადად პრეზიდენტი სააკაშვილი იძლევა, რომელიც ბათუმსა თუ ქუთაისში სტუმრობისას (იქ კი ყოველდღიურად თუ არა, დღეგამოშვებით მაინც ჩადის) მომენტს ხელიდან არ გაუშვებს, რომ იქაური ინდუსტრიული ზონების ზღაპრულ სამომავლო პერსპექტივაზე არ ისაუბროს და მისთვის ჩვეული გარანტირებული ილუზიებით არ დაგვაპუროს, კერძოდ, პრეზიდენტი გვპირდება, რომ მოკლე პერიოდში მეორე დუბაი და სინგაპური საქართველოშიც გვექნება, დასაქმდება ხალხი, არნახულად განვითარდება მეწარმეობა და აღებ-მიცემობა, ეკონომიკა ნაპირებიდან გადმოვა და აქამდე ღატაკი მოსახლეობა მოზღვავებული დოვლათით ერთბაშად აივსება.***

თუ გავითვალისწინებთ იმ არასახარბიელო რეალობას, რაც პრეზიდენტ სააკაშვილის მსუქან-მსუქანი დაპირებების შემდეგ ხელში შეგვრჩება ხოლმე, ალბათ, ურიგო არ იქნება, გადავხედოთ მსოფლიოში მოქმედი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების მიერ მოპოვებულ შედეგებს და დასკვნები ამის მიხედვით გამოვიტანოთ. სტატისტიკა გვაუწყებს, რომ ამჟამად მსოფლიოში რეგისტრირებული 3000-ზე მეტი ინდუსტრიული ზონიდან მხოლოდ 20 პროცენტია ეკონომიკურად წარმატებული. ამათ რიცხვშია ცნობილი დუბაის ინდუსტრიული სასწაული „ჯებელ ალი“, რომელიც შექმნილია მსოფლიოს უმსხვილეს ხელოვნურ ნავსადგურში, სპარსეთის ყურის რეგიონში. ზონაში წარმოდგენილია საქმიანი აქტივობის მთელი სპექტრი, წარმოებისა და მომსახურების ჩათვლით. „ჯებელ ალში“ მოქმედებს 58 ქვეყნის 700-მდე კომპანია, რომელთა ინვესტიციების საერთო მოცულობა 1,1 მილიარდ დოლარს შეადგენს.

დუბაის პარალელურად, ინდუსტრიული ზონის ორგანიზების წარუმატებელ მაგალითად გამოდგება „კანდლა“ ინდოეთში, რომელიც რიგ სხვა სისტემებთან ერთად, ტერიტორიულადაც არახელსაყრელ ადგილზე აღმოჩნდა. იმის გამო, რომ მას არ გააჩნდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა და არსებითი სტიმულები, აქ მხოლოდ რამდენიმე ინდურმა ფირმამ თუ შეძლო საკუთარი საქმიანობის გაშლა.

რა იზიდავს მეწარმეებს და ინვესტორებს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში? უპირველესად, ეს გახლავთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების შესაძლებლობა, ნედლეულისა და გასაღების ბაზარზე კონკურენტული ბრძოლის გაძლიერება, საგარეო ვაჭრობის ბრუნვის ზრდა, მოგების გადასახადის არარსებობა (ან უმნიშვნელო რაოდენობა!ძ, ფირმის რეგისტრაციის მაქსიმალურად გამარტივებული პროცედურა, ზონაში ვალუტის შეტანასა და გატანაზე შეუზღუდაობა და ა. შ. თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ასეთი შეღავათების დაწესებამ შეიძლება გამოიწვიოს ბიუჯეტის შემოსავლების მნიშვნელოვანი შემცირება, საჭირო გახდეს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და სხვა ღონისძიებათა შემუშავება-გატარება. უცხოელი ინვესტორები, მოგეხსენებათ, თავისუფალი ზონით ინტერესდებიან იმ შემთხვევაში, თუ იქ უკვე არის სათანადო ინფრასტრუქტურა ან მისი შექმნის ხარჯები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. ინფრასტრუქტურის შექმნის ხარჯები კი ზოგჯერ მთლიანი ინვესტიციის თითქმის 75 პროცენტს შეადგენს.

ჩვენთან ინდუსტრიული ზონების იმიჯმეიკერები მის შექმნაზე ხშირად ისე ლაღად და გულდაჯერებით საუბრობენ, რომ წარმოდგენაც არა აქვთ მასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და მოსალოდნელ შედეგებზე. მათი შემყურე იფიქრებ, რომ საქართველოში საკანონმდებლო ბაზაც სრულყოფილია, ინფრასტრუქტურის მწვანე ხალიჩაც დაგებულია და ინვესტორიც ნიშანსღა ელოდება, რომ ზედ მწვანე კუპიურით გატენილი ტომრები დააგოროს და უკულმა ნატარი ეკონომიკა მსწრაფლ წაღმა შემოატრიალოს.

კეთილი, ქუთაისში უკვე შექმნილია ასეთი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა და წიწილების გამოჩეკვასღა ველოდებით. ის ეგვიპტურმა „ფრეშმა“ და მისმა ქართველმა პარტნიორმა „ჯორჯიან ინტერნეიშენელ ჰოლდინგმა“ წამოიწყეს. ჩინური კომპანია „ჰანგლი ინდასთრი“ კი იმავე ქალაქში მეორე ზონის შესაქმნელად ემზადება. ფოთში არაბული „რაკ ჯორჯია ჰოლდინგი“ უკვე მოქმედებს, ხოლო თბილისში ასეთივე ზონის შექმნას ებრაული კომპანია „ტერა ერთი“ აპირებს. ბათუმში, სადაც პიარკამპანიის წყალობით ბევრს ჰგონია, რომ ინდუსტრიული ზონა უკვე ფქვავს პირველ მოსავალს, სინამდვილეში ადგილობრივი მთავრობა ინვესტორებს ახლა ეძებს.

ღმერთმა ქნას, რომ დასახელებული ინდუსტრიული ზონები მთელი წარმადობით ამუშავდეს, გაიზარდოს ქვეყანაში წარმოების მოცულობა, შემცირდეს უმუშევრობა, ინფლაცია, გაჯანსაღდეს ეკონომიკა. თავისუფალი სავაჭრო ზონების შექმნის მიზანიც სწორედ ეს გახლავთ, მაგრამ, როგორც ეკონომიკის ექსპერტები შიშობენ, არის ფაქტორები, რომლებიც ხელისუფალთა და პოლიტიკოსთა ყურადღების მიღმა რჩება, ერთი ასეთთაგანი იქნება უცხო ქვეყნების ვალუტების მოზღვავება, რაც გამოიწვევს ადგილობრივ ვალუტასთან მიმართებაში მის გაუფასურებას და ეროვნული ვალუტის გამყარებას. ეს, ბუნებრივია, თავის მხრივ, გამოიწვევს სამამულო საექსპორტო საქონლის გაძვირებას და ექსპორტის მოცულობის შემცირებას.

გასათვალისწინებელია მეორე მომენტიც: თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში, როგორც წესი, საშემოსავლო გადასახადს იხდის ადგილობრივი მუშახელი, ხოლო უცხოეთიდან შემოსული სამუშაო ძალა ასეთი გადასახადისგან თავისუფალია. აქედან გამომდინარე, მეწარმე დაინტერესებული იქნება, უფრო მეტად უცხო სამუშაო ძალა დაიქირავოს, რათა ნაკლები თანხით მეტი მოცულობის სამუშაო შეასრულოს. ამდენად, მთავრობის მთავარი კოზირი, რომ თავისუფალი ინდუსტრიული ზონების მეშვეობით ქვეყანაში დასაქმების პრობლემას გადაწყვეტს, ნაკლებად სარწმუნოა. არადა, იმავე ქუთაისიდან რამდენჯერ მოგვისმენია პრეზიდენტის ქადილი — აი ნახავთ, მალე აქ არა მარტო ამ ქალაქის, მთელი იმერეთის უმუშევრებს დავასაქმებთო.

აქვე არ შემიძლია, არაფერი ვთქვა ქვეყნის სტაბილურობაზე, რასაც თავისუფალი ინდუსტრიული თუ სავაჭრო ზონების შექმნასა და განვითარებაში გადამწყვეტი როლი ენიჭება. საკითხავია, როგორ მოიზიდავს საქართველო უცხოეთიდან კაპიტალს და სუპერტექნოლოგიებს, თუ ის დიდი რისკების მატარებელია? არადა, ამ რისკების ზრდის სტიმულატორი თავად მთავრობის პროპაგანდისტული მანქანა გახლავთ. ამის დასტურია თუნდაც „იმედის“ ეთერით გადაცემული და ხელისუფლების სცენარით დადგმული „ომის სპექტაკლი“, რომელმაც ქვეყნის მოსახლეობა იმდენად დაზაფრა და დააშანტაჟა, რომ ვინ საით გარბოდა, აღარც კი უწყოდა. ასეთ ვითარებაში, როგორ ფიქრობთ, უცხოელი ინვესტორი შემოსულიც რომ იყოს, მაშინვე უკან მოუხედავად არ გაიძურწება? მთლად ჯანსაღი ფსიქიკისა ვერ უნდა იყოს ხელისუფლება, საკუთარ ხალხს ასეთი გაუგონარი პროვოკაცია რომ მოუწყოს.

**ოთარ ხუციშვილი**

პრობლემა

# ადგილობრივი პროდუქციაა? ესე იგი, უხარისხოა!

**ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID), შარშანდელ მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოს დაახლოებით ორას კომპანიაში სოციოლოგიური გამოკვლევა ჩაატარა, რომლის მიზანი ადგილობრივი პროდუქციით იმპორტულის ჩანაცვლების შესაძლებლობათა შესწავლა იყო.**

გამოკვლევის შედეგების თანახმად, 2004 წლიდან 2008 წლამდე პერიოდში საქართველოს ეკონომიკის **რეალური** ზრდა მართალია ჭარბობს ქვეყანაში პროდუქციის ექსპორტს, მაგრამ იმპორტის ზრდაზე გაცილებით ნაკლებია. **სამწუხარო ფაქტია ისიც, რომ ეს ტენდენცია აბსოლუტურად ყველა მაჩვენებელს ეხება.** ამ მონაცემებიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში ქვეყანაში მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი მატულობს, რაც, შესაბამისად, საქონლის მოხმარების ზრდაზე აისახება, თუმცა ყველა ეს ნაწარმი, სამრეწველო თუ არასამრეწველო, ადგილობრივი კი არა, იმპორტირებული პროდუქციაა, რაც ასევე აისახება ქვეყნის უარყოფით სავაჭრო ბალანსშიც. ყოველივე ამის შედეგი კი ის არის, რომ თანდათან მთელი ეროვნული ეკონომიკა სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული იმპორტულ პროდუქციაზე.

გარდა ამისა, სტატისტიკის სახელმწიფო სააგენტოს მონაცემებით, საქართველოში უცხოური წარმოების საქონლის იმპორტი შიდა ბაზარზე მოხმარებული პროდუქციის 75 პროცენტს შეადგენს, ხოლო ექსპორტი — 25 პროცენტს.



მთავრობის მიერ დასახული ხანგრძლივ ვადაზე გათვლილი ეკონომიკური სტრატეგია აღნიშნული დისბალანსის ექსპორტის ზრდის ხარჯზე შემცირებას ითვალისწინებს. ამასთან დაკავშირებით ექსპერტები აღნიშნავენ, რომ **ადგილობრივი პროდუქციით იმპორტული საქონლის ჩანაცვლება მეწარმეთა საქმიანობისთვის ახალ ჰორიზონტებს წარმოაჩენს, ექსპორტისთვის ახალ შესაძლებლობებს შექმნის და ბაზრებისკენ გზებს გაუხსნის, ასევე შეამცირებს უცხოურ ვალუტაზე ჭარბ მოთხოვნილებას და, ყველაფერთან ერთად, მრეწველობაში ინოვაციების დანერგვას შეუწყობს ხელს.** თუმცა, სპეციალისტები ასევე აცხადებენ, რომ შეცდომა იქნება იმპორტისთვის ხელოვნური ბარიერების შექმნა, რაც ეკონომიკაში აუცილებლად გამოიწვევს ნეგატიურ მოვლენებს. ამიტომ გზა ერთადერთია და ეს ნამდვილად არანაირ ეჭვს არ იწვევს: საკუთარი ეკონომიკის განსავითარებლად, ასევე შიდა ბაზარზე უცხოელი მწარმოებლებისთვის ნორმალური საბაზრო ვითარებისა და ჯანსაღი საკონკურენციო გარემოს შესაქმნელად, **აუცილებელია ისეთი საწარმოებისა და ტექნოლოგიების გაშლა, რომლებიც მეწარმეებს კონკურენტუნარიანი ადგილობრივი პროდუქციის გამოშვების საშუალებას** მისცემენ. ამასთან, სპეციალისტები ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის მისაღწევად სულაც არ არის საჭირო მეწარმეთათვის ხელოვნურად სასათბურე პირობების შექმნა, რადგან საბაზრო ეკონომიკის უწინარესი პირობა მისი ლიბერალური ხასიათი და საყოველთაო გახსნილობაა.

ახალი სულაც არ არის ის, რომ ადგილობრივთან შედარებით იმპორტული პროდუქციისთვის უპირატესობის მინიჭების მიზეზად, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ ჩატარებული გამოკითხვის მონაცემებით, ორასზე მეტი გამოკითხული კომპანიის წარმომადგენელთა ნახევარზე მეტმა **შემოტანილი საქონლის უფრო მაღალი ხარისხი** დაასახელა, ხოლო მესამედმა ამასთან ერთად — **შედარებითი ხელმისაწვდომობა, დაბალი ფასები.**

ამავე დროს მეტად საგულისხმო და, რაც მთავარია, საგანგაშოა ის, რომ გამოკითხულ რესპონდენტთა **ნახევარზე მეტმა დროის რაღაც მონაკვეთში სცადა ადგილობრივი პროდუქციის შეძენა, მაგრამ მათი აბსოლუტური უმრავლესობა (80 პროცენტი!) კვლავ იმპორტული საქონლის შეძენაზე გადავიდა!!**

თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ იმპორტის ზრდა შეიძლება სიკეთის მომტანი იყოს იმ ადგილობრივ მწარმოებელთათვის, ვინც თავის სასარგებლოდ უნდა გამოიყენოს შიდა ბაზრის გაზრდილი მოთხოვნილება. ამ მიზნის მისაღწევად კი აუცილებელია ბუნებრივი და ადამიანური რესურსების, ასევე კაპიტალის გონივრული და რაციონალური გამოყენება, რათა ხარისხიანმა ადგილობრივმა პროდუქციამ შეძლოს იმპორტული საქონლისთვის ღირსეული კონკურენციის გაწევა. **სამწუხარო კი ჯერჯერობით მაინც ის არის, რომ ადგილობრივი ექსპორტული საქონლის ჩამონათვალში პირველი ადგილები ძველებურად თხილს, ციტრუსების ქერქს (ეთერზეთების მისაღებად), ალკოჰოლიან და უალკოჰოლო სასმელებს, ღვინის ძმარს, მთელ რიგ ფარმაცევტულ პრეპარატსა და სასუქებს უკავია.**

**ოთარ ტურაბელიძე**

ნანახი და გაგონილი

# ჩემი საღუთრო-სამზეო



ხევსურები

ახადში გაუგონიათ თოფის ხმა და მაშინვე მიხვედრილან – რაღაცაშია საქმეო. ბინოკლითაც გამოუხედიათ და დარწმუნებულან ვაკისოფლისთვის ქისტების დაცემაში. ერთი ახალგაზრდა მოხტომია ცხენს და შუაფხოში გაქცეულა შესატყობინებლად. გაჰხარებია, როცა უთქვამთ, „მელიციენები" აქვე არიან, მთვარელათასავე ქეიფობენო.

– კიდევ ქისტები მოგველანდათო! – გაბრაზებულა ადუა, – ახადელმა რა იცი უკანაფშავს რა ხდებაო!?

– თოფის ხმა ისმისო.

– იქნება შავ-გიორგა დაითვრაო.

– დილაადრიან ეგრე რა დაათრობდა... სოფელში ხალხი არა ჩანს, საქონელი ისევ ბაკშია, ცხვარი სათიბებშია მოფენილი.

ცხენები მოითხოვა ადუამ. შესხდნენ და ჭენებით შეუყვნენ არაგვის ჭალას. დუშელი გვრიტიშვილიც ისევ თან გაჰყვა. ახადელი შინ გაუშვეს.

– ორი გზა აქვს ვაკისოფელს ქვევიდან მისასვლელი, – თხრობას აგრძელებს ლადო, – ერთი ჭალაზე, თუ ცხენოსანია მგზავრი და წყალიც ადიდებული არ არის და მეორე, ციხეგორისას, მიწვენილ კლდიან გორზე, რომელსაც სულ ბოლოს, სოფლიდან გადასახედში მართლაც ციხესავით აწვდილი კლდე აგვირგვინებს. იქა მდგარიყო ერთი მზირი, იმას ვერა ვხედავდი, სანამ არ წამოდგა და თოფის წვერზე წამოცმული ქუდით ჭალისკენ არ დაუწყო ნიშნება სოფელში მყოფთ. ჭალისთავზე, ბექის თავზე შემოწოლილ მზირს ვხედავდი. ზემოთი მზირის ნიშანზე და ქვემოთ მზირის მომზადებაზე მივხვდი ჭალაზე ვიღაც მოდიოდა. სოფლიდან ორი ქისტი გამოიქცა. წახრილნი მორბოდნენ და დრო და დრო ბალახში წვებოდნენ. ბექის თავს რომ მოაღწიეს ავტომატმომარჯვებულნი დაელოდნენ. შამოჩნდნენ ცხენოსნებიც. ის სამნი იყვნენ, წინა დღეს მეც რომ შემხვდნენ – ქისტების ნახვა გვინდოდა და ვერა ვნახეთო.

ქვემოთა მზირმა გამოიცილა. ჩვენი სოფლის თავზე გორიდან სროლა ატყდა. თურმე სოფლის მაღლა გზა ჰქონია ქისტებისთვის შეკრული შავ-გიორგას, მაგრამ რაკი დაუნახია სიკვდილი ელოდა ხევსურ მილიციელებს, გასაფრთხილებლად დაუწყია სროლა – წინ ურტყამდა ტყვიას. ამათ უფიქრიათ ქისტები არიან ალბათ იმ გორზე და ისენი გვესვრიანო. მათ გულადობას აორმაგებდა ნასვამობა, რამაც სიფრთხილე მთლად გადაავიწყა.

მოვიდნენ თუ არა ჩასაფრებულების ავტომატებმა სწორედ, მოკლედ დაიკაკანეს და მოწყვეტილებივით ჩამოყარეს ცხენებიდან ადუა და ხთისო. ალე გადმოხტა ცხენიდან, გადაეშვა არაგვში და ლოდს ამოეფარა. ქისტებმა კი იმ ლოდს ბოლი აადინეს. ქისტებმა სროლა შეწყვიტეს, ბექობი ჩამოირბინეს და ისევ ავტომატმომარჯვებულებმა გამოიყვანეს ალე, დახოცილებისათვის იარაღი აახსნევინეს, არაგვში დაარეცხინეს, აჰკიდეს და სოფელში ავიდნენ. რამდენიმე სტალინის ცხვარი დაკლეს, საარაყე ქვაბში მოხარშეს, რაც შეჭამეს, შეჭამეს, რაც დარჩათ, ისიც გუდებში ჩაყარეს, სახლებიდან გამოზიდულ ნაძარცვთან ერთად აჰკიდეს ცხენებს და შეღამებულში წავიდნენ – ჩანს უფრთხოდნენ შავგიორგისა და სხვა გზის შემკრავებს.

ეს ყველაფერი ლადო წელაურმა ბარისახოში რომ მოვიდა, მერე გვიამბო. იმის მოსვლამდე კი ჯერ ადუასა და ხთისოს დახოცვის ამბავი მოვიდა. შეიძრა მთელი ბარისახო. ტიროდნენ ქალები, ნანობდნენ კაცები. ბრალობდნენ ადუას ცოლ-შვილს, ხთისოს დიაცს, ახალ ზალს. სიბრალულით თვალებში რატომღაც ვერ ვუცქეროდით ადუას შვილებს – მზექალი ჩვენ კლასში იყო, ნიკო ჩემ ძმასთან გოდერძისთან სწავლობდა. სხვები უფრო უმცროსები იყვნენ. ხთისოს კი სულ სამი თვის მოყვანილი ჰყავდა დიაცი...

მეორე დღეს მოასვენეს დახოცილები. მთელი ბარისახო კი არა, მთელი ხევსურეთი იქ იყო, უკანაფშავიდანაც ბევრნი გამოჰყოლოდნენ. მილიციის წინ დაასვენეს ნაბადში გახვეულები. იყო ერთი გლოვა და წიოკი ახლოზელ-ბიძაშვილებისა, დებისა. მეუღლეები კი სახეგაფითრებულნი იდგნენ, არც ცრემლი უჩანდათ თვალზე და არც ტიროდნენ. ხევსურული წესი მოითხოვდა ამას. ქმრის ტირილი დიდი სირცხვილია და დიდი შეურაცხყოფა ქმრეულთი.

გაბურთ ეშმას ანდრეზს ჰყვებიან ხევსურეთში: გაბურს ეშმა შეუპყრია და შინ ჰყოლია მსახურად. ერთხელაც მთელი ოჯახი სატირალში რომ ემზადებოდა, იმისთვისაც უთქვამთ – წამოდი შენცაო. „არა, მე ნუ წამიყვანთ, თორემ იქ გამეცინება და შეგარცხვენთო". „ჭირში რას ნახავ სასაცილოს, ხევსურეთის ფასი ვაჟკაცი მოკლეს, წამოდიო!" წაიყვანეს. ხალხი რომ მოდიოდა ჭირის საწყენად, ერთი კოჭლი, ბეჩავი კაცი მოვიდა. ეშმამ მთელი ხალხის გასაგონად გადაიხარხარა. იქ აღარაფერი და როცა წამოვიდნენ, ჰკითხეს: „რაზე გაგეცინაო? „რაზე და მოკლულის დიაცმა ძალიან მგლოვიარედ რო ეჭირა თავი, გულში თქვა: ეკოჭლა მაინც არ მიკადრებსო".

იდგა დამწვარათ ბაბალე გაუტეხლად. ხან ლაბადში გახვეულ ხთისოს ჩააშტერდებოდა, ხან კი სევდით სავსე ცისფერ თვალებს ქუდნისლას შეაშტერებდა. თითქოს არც კი ესმოდა ის შემზარავი მოთქმა ხმითმოტირლებისა, სადაც მის სახელსაც ხშირად ახსენებდნენ. კაცები ვერ იკავებდნენ ცრემლს, ცხარე ცრემლით ტიროდა ალე გვრიტიშვილიც, რომელიც შემთხვევა რომ არა, მათ გვერდით უნდა წოლილიყო. ზურგზე გაეკრა ტყვიებს, ლოდს როცა იყო აფარებული და ნაფლეთებიდან ბამბა იყო გამოჩრილი.

აყნელში, თავის სოფელში წაასვენეს ორივენი მეორე დღეს, იქ დამარხეს, იქ დაუყენეს წესი და რიგი, დოღიც იყო ჩირდილ-ბარისახოს მოყოლებით. ბაბალემ არაფერი დააკლო, არაფერი დაინანა ხთისოს ღირსეულად დაფასებისთვის და ყველაფერი რომ ჩამთავრდა, ხთისოს ნაგანით მოიკლა თავი. ახლა ამ ამბავმა დასცა თავზარი ყველას.

ამ ამბის კვლევა-ძიება რომ დავიწყე დაზუსტების მიზნით, მითხრეს ალე გვრიტიშვილი ცოცხალია, დუშეთში ამა და ამ ადგილას ცხოვრობს, მიდი და იმაზე უკეთესად ვინ რას გეტყვისო. მივედი. ბევრი ვეღარაფერი დაამატა.

– წყლიდან რომ გამოვედი, მკითხეს ვინა ხარო? შენ რატომღა მობრუნდიო? ამათი თანამშრომელი ხომ არა ხარო? ვუთხარი ძმობილი მყავს აქ ივანე წელაური და ვიფიქრე ის ხომ არ მოკლესო. კიდევ კარგი ნაგანის შეხსნა მოვასწარი წყალში, თორემ მეც მომკლავდნენ... მილიცია იმ საღამოსვე ამოვიდა დუშეთიდან, თბილისიდანაც. დამკითხეს, დაჰკითხეს ხალხიც. მერე, შატილში რომ დახოცეს ქისტები ზამთარში და თავები ბარისახოში გადმოატანინეს, მაშინაც წამიყვანეს ამოსაცნობად, კიდევ ერთხელ დამკითხეს. ვუამბე ის, რაც შენცა გცოდნია, რაც მოხდა, რაც ხალხმა თავისი თვალით ნახა, ესენი კიდევ, ეს საბჭოთა მილიცია რა უსირცხვილო ტყუილებსა წერს და აწერინებს ვიღაც მჭღაბნელებს. აბა, ერთი ჩაიხედე აემ წიგნში, – მითხრა და იქვე ახლოდან გადმომიღო მდიდრულად გამოცემული "ფარი – საიმედო, მახვილი – ბასრი". სწორი გითხრათ, თვალი კი მქონდა ამ წიგნისათვის მოკრული, მაგრამ შიგ ჩასახედად არ დავინტერესებულვარ. ეხლა კი დავინტერესდი და ჯერ ანოტაცია წავიკითხე: „წიგნში მდიდარი დოკუმენტალური მასალის საფუძველზე გაშუქებულია საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ისტორიის ფურცლები... კრებულში თავმოყრილია გმირულ საქმეთა და მოვლენათა მონაწილე ჩეკისტების მოგონებები, სტატიები უხილავი ფრონტის ბრძოლებზე".

– ეხლა გადაშალე 173-ე გვერდზე და წაიკითხე რასა წერს უკანაფშავის ამბავთან დაკავშირებით „კაგებეს" გენერალ-მაიორი ვარლამ შადური, მინისტრის მოადგილე რომ იყო!

გადავშალე და ვკითხულობ: „1947 წლის მაისში ღამით თავს დაესხნენ სოფელ უკანაფშავს. ხუჩბაროვის ბანდას განზრახული ჰქონდა მოულოდნელი თავდასხმით დაებნია ხალხი და გაეტაცა ცხვრის ფარა, მსხვილფეხა რქოსანი საქონელი და კავკასიონის გადაღმა გადაერეკა, მაგრამ მზაკვრული გეგმის განხორციელება ვერ მოხერხდა. მილიციის თანამშრომლებმა – უფროსმა ლეიტენანტმა ადუა არაბულმა და რიგითმა ხთისო არაბულმა, რომლებიც იმხანად სოფელში იყვნენ, ადგილობრივ მცხოვრებთა – ვანო ბადიაშვილისა და გიორგი მურჩიაშვილის დახმარებით, გზა გადაუღობეს ბანდიტებს. უთანასწორო ბრძოლამ გათენებამდე გასტანა. ბანდიტები გაშმაგებით ისროდნენ, ცოფებს ყრიდნენ, მაგრამ გულადი ადამიანების ხელში ჩაგდება ვერ შესძლეს, ვიდრე ბანდიტები დამცველთა პოზიციებს ზურგიდან არ მიეპარნენ. მართალია, პატრიოტები, რომელნიც უკანასკნელი ვაზნის დაცლამდე იბრძოდნენ, მამაცთა სიკვდილით დაეცნენ, მაგრამ საკმაოდ დააზარალეს მტერი, აიძულეს ბანდიტები უკან დაეხიათ. გმირების დაკრძალვაზე გუდანის სოფლსაბჭოს სოფელ აკანში (აყნელი – გ. ხ.) მთელი დუშეთის რაიონიდან ათასობით მთიელმა მოიყარა თავი... ამ საშინელი ამბის შემდეგ მრავალმა წელმა ჩაიარა. დაღუპულთა მეუღლეები მოხუცდნენ, წამოიზარდნენ შვილები და შვილიშვილები..."

– ხედავ? ამათი ნაწერები, ეტყობა სულ ასეთი ტყუილებია.

– კი, მართალი ხარ, – დავამშვიდე, – ამ „გმირული" ისტორიებით ხალხს ატყუებდნენ, თორემ ახლოს მდგომმა ადამიანებმა იმთავითვე ყველაფერი კარგად იცოდნენ...

– აღარა მჯერა, რომ შენ მაინც დასწერ სიმართლეს. სანადირაძის წიგნში რეებიღა სწერია?! ადრე სიმართლის თქმის უფლებას არავის აძლევდნენ. ტყუილზე ვერავინ იტყოდა, ტყუილიაო. ეხლა ხომ შეიძლება ხმის ამოღება და ამოიღეთ, თორემ ლამის გული გასქდეს.

## ვა დედას, ქისტის შვილებო

ჩახოცვისა თუ ამოხოცვის ამბები არ გვაკლდა. 1949 წლის ზამთარში ახალი ამბავი მოვიდა ბარისახოს: შატილის მთებში ქისტები დაუხოციათო, მილიციას ქისტების ბანდა გაუნადგურებიაო. ზედაც იმ დახოცილი ქისტების, ხუთი ქისტის თავი ზურგით გადმოიტანეს შატილიონთ. გუდებიდან ამოალაგეს სისხლიანი, თვალებღია თავები და მილიციის აივნის მოაჯირზე ჩაამწკრივეს. თბილის-დუშეთიდან მოსული მილიცია და ფოტოგრაფები ატრიალებდნენ, შინჯავდნენ, ხუმრობდნენ, იცინოდნენ, გამარჯვებული იერით გადმოგვცქეროდნენ იქ მოგროვილ დიდსა და პატარას. აბა, მეტი გასართობი სანახაობა იქ რა იყო, მით უმეტეს ზამთარში და შინ ვის რა გააჩერებდა.

იმ ხუთი ხევსურიდან ერთ-ერთი, ვინც მონაწილეობდა ქისტების ჩახოცვაში და მათი თავების გადმოტანაში, ჩვენი კლასელის მამუკა ჭინჭარაულის უფროსი ძმა იყო. ის იმ ღამეს მამუკასთან, ჩვენთან წამოვიდა დასაძინებლად.

– აუ, რა ყოფილამ შასძლებისვ კაცს! – თავიანთ მთაზე გადმოსვლას კვიროზდა ღუმელთან ჩამომჯდარი, არაქათგამოცლილი საყურა, – ქარბუქ რო ასტყდა დათვისჯვარზე, არ მეგონა რო ცოცხლებ გადავრჩებოდით. როგორ ან წელზე თოვლ ვარღვიეთ, რა ან მძიმე კაცის თავ ყოფილ!..

– რა ძალა გედგათ მერე, რაზე იხოცდით თავებს! – შეუტია საყურას მამუკამ, – მასწავლებლებ ამბობენ წეღან – რა ველურობააო!

– აბა, რა უნდა გვექნ, ხორგვანმ გვიბრძან, კი არა და დაგვემუქრ...

– ვინა ხორგვანი?! ხორგვანის დედაც...........! იმას თავის ჩინ-მენდლებ აგიჟებს, თქვენ რა ფეხებზე ჰკიდიხართ! ეემ შუა ზამთარში დათვისჯვარს შეებმისა გონთ ნამყოფ კაცი?!

მამუკას სამართლიან ჯავრობაზე არც საყურას გაღიმებია და არც ჩვენ, რადგან ხევსურეთში ბალღისგან უფროსების დატუქსვა, შენიშვნის ყურადღება, ჩვეულებრივი მოვლენაა, მით უმეტეს როცა ის სამართლიანია. ჩვენ კი ღუმელსა და საყურას ირგვლივ შემოჯარულ ბალღებს ქისტების დახოცვის ამბავი გვეჩქარებოდა. ვთხოვეთ კიდეც, გვიამბე როგორ იყოო?

– როგორ იყვა და ისრ იყვ, – დაიწყო მოსაყოლად შემზადებულმა საყურამ, – იმათ დახოცვის წინა დღეს ხორგვანმა გამოგვიცხადა ჩვენ ხუთ კაცს – მე, ყარიმანს, ხთისიკას, გოგალესა და ბეწინიკას, ხახონა ნიადე იმასთან იყვ, ეს ხო მილიციის ბრიგადირი ას შატილში. – ქისტების ბანდის კვალი აღმოვაჩინეთ, თქვენ უნდა გამომყვეთ, მილიციელები და ჯარისკაცები იქ არ გამომადგებიანო. შატილიდან ღამე გავედით – ანდაქში უნდა ავიდეთო, გვითხრა. ნაკვალი კი იყო თოვლი, მაგრამ ცუდი სავალი გვქონდა. ანდაქს რო შავცდებით არჭილოსკენ, ხელმარცხნივ შედის ხეობა, იმაზე შევუხვიეთ და კვალიც იქ იყო.

– ანდაქელი შაბურასა და იმის შვილის ბათირას საზაფხულო ქოხი როა ამ ხეობაზე, ის თუ იცითო? – გვითხრა ხორგვანმა.

– როგორ არ ვიცითო, – ჩვენ ვუთხარით.

– ჰოდა, იქ არი იბი ალხასტოვი თავისი ბანდით, შენი ძმის მკვლელი კვიშტანიც იქ არისო, – უთხრა ყარიმანს.

– რომელი, ხილდიხაროელიო? – აფორთქდა ყარიმანი.

– ჰო, ჰო, შენი ძმის მკვლელიო... აბა, თქვენ იცით, ეხლა დრო გვაქვს შურის ძიებისაო.

დავიღამეთ, იმათ რო არსაით ვენახენით, ფრთხილ-ფრთხილად მივეპარეთ, თავზე დავადექით იმ ქოხს, თოვლში არც კი ჩანდა. ეხლა, როგორა დგა შაბურას ქოხი – პატარა სერის ძირშია, ხუთმეტი-ოცი მეტრით დაბლა, წინ დიდი ვაკე აქვს, მარჯვნივ არყიანი ფერდობი, მარცხნივ კლდიანი გორი. ჩვენ ბედზე მთვარემაც გადმოანათა. ისე დაგვჩნდგა ყველაფერი, როგორც დღე. გარეთ გამოსულნი ვერსად გაგვექცეოდნენ. ვიცოდით, თუ გაქცევას შეეცდებოდნენ, კლდიანი გორისაკენ და ჩვენც ამიტომ უფრო მარცხნივ დავიჭირეთ. ხორგვანმა მთელი ხმით ჩასძახა:

– იბი, დაყარეთ იარაღი და დაგვნებდით, თუ სიცოცხლე გინდათ! გესმის?!

კარგა ხანს ჩამიჩუმი არ იყო. მერე მოისმა იბის ხმა:

– რომელი ხარ? – მთის ქისტები იყვნენ ესენი და ქართული იცოდნენ.

– ხორგვანი ვარ, მილიციის მაიორი! სიტყვას გაძლევთ, სიცოცხლეს შეგინარჩუნებთ! დაყარეთ იარაღი!

**ბიბი ხორნაული.**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 53.

№ 54. ოთხშაბათი, 24 მარტი, 2010 წელი.

**ვითხოვ სიტყვას**

# საზოგადოება ჩვენ ვართ, ოლონდ ეს დაგვავიწყეს

***წერილი, უფრო სწორად ვრცელი ჩანაწერების ფრაგმენტები, რომელსაც ქვემოთ ვბეჭდავთ, ეკუთვნის ჩოხატაურში მცხოვრებ ღირსეულ მანდილოსანს, პენსიონერ პედაგოგს ნათელა ხუნდაძეს. ამ ჩანაწერებში კარგად ჩანს ცხოვრებით დაბრძენებული ქალბატონის ფხიზელი დაკვირვების, ანალიზისა და დასკვნების უნარი. ის, სრულიად კანონზომიერად, იმ ძველი, „სოციალიზმის“ ეპოქის ღვიძლი შვილია და ვერ ეგუება არსებულ ყოფას. თავის დამოკიდებულებას გამოთქვამს მიუკიბმოუკიბავად, შეუფარავად და არ შეიძლება პატივი არ სცე მის ამ პირდაპირობას. სწორედ ეს მოგვეწონა მის ჩანაწერებში, საიდანაც ამოვკრიფეთ ეს ფრაგმენტები.***

საბჭოთა კავშირის დროს მოსამსახურე პერსონალს საზოგადოებრივი დატვირთვა მეტი ჰქონდა, ვიდრე სპეციალობით სამსახური. ამ დატვირთვას სრულიად უსასყიდლოდ ვასრულებდით, რამაც ჩამოაყალიბა განათლებული საზოგადოება, რომელსაც უყვარდა სამშობლო, ახარებდა მიღწევები. ამ ერთსულოვნებამ მოგვაგებინა სამამულო ომი.

„საზოგადოებას აღზრდა უნდა – მაგალითის მიცემა, რათა უკეთ მოემსახუროს სახელმწიფოს“

საზოგადოება აქტიური იყო გამსახურდიას დროს და ზვიადი მოკლეს. საზოგადოება კი სდუმს. რატომ? იმიტომ, რომ დამნაშავენი კვლავ მმართველ ძალას წარმოადგენენ.

მოკლეს ზურაბ ჟვანია, ბადრი პატარკაციშვილი და მრავალი სხვა. ზუსტად დაითვალა ვინმემ, რამდენი ქართველია ემიგრაციაში ლუკმაპურის საშოვნელად? რამდენმა დატოვა სოფელი და თბილისში ვაჭრობს?

როცა არსებობა ერთადერთ მიზნად იქცევა, ერთადერთი რაც გახსენდება, ის სამყაროა, რომელიც უკვე აღარ არსებობს. ყველაფერი, რის დაბრუნებასაც ცდილობ, ორაზროვანი ხდება – ამას ჭკუიდან გადაყავხარ. იმედი ქრება, რადგანაც თვითონ დრო უერთდება სიცარიელეს, გრძნობ რომ ღმერთმა დატოვა აქაურობა.

ამას წინათ ჩვენს რაიონს – ჩოხატაურს სააკაშვილი ესტუმრა. მანამდე სამი დღე ეძებეს ოჯახი, სადაც შეიძლებოდა მისი მიყვანა... როგორც იქნა გამონახეს. ქართველები თავმოყვარენი და სტუმართმოყვარენი ვართ. უკანასკნელი ღარიბიც კი თავს არ შეირცხვენდა სტუმართან, მაგრამ პრეზიდენტი ხომ ჩვენი სტუმარი კი არა, პატრონი იყო. ამიტომ რაიონის მესვეურებს უნდა ენახვებინათ გაჭირვებული ოჯახები, უმუშევრები, რათა საქმის კურსში ჩამდგარიყო ჩვენი პატრონი. საერთოდ კი თვითონ მას უნდა მოეთხოვა საშუალო ოჯახის გაცნობა. მაგრამ მდიდარი ოჯახი აჩვენეს და იმანაც „ჩათვალა“, რომ ყველაფერი კარგად არის. მოსახლეობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში რეალური მონაწილეობა ძალიან დაბალია.

შეაფასეს საზოგადოების თორმეტი შერჩეული წევრის ზეგავლენა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე. აღმოჩნდა, რომ კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ყველაზე დიდი და დადებითი გავლენის მქონეა, ხოლო „თავისუფლების ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი ლევან რამიშვილი ყველაზე უარყოფითი გავლენის მქონე პიროვნება. რა შედეგი მოჰყვა ამ შემოწმებას? ის, რომ პატრიარქი კინაღამ ემსხვერპლა ამ ალიარებას, რამიშვილს კი ბეწვიც არ შერხევია!..

დღეს შეესივნენ ძეგლებს და უკანმოუხედავად ანგრევენ. ჩოხატაურში გააუქმეს სამამულო ომის გმირის, ლეგენდარული მფრინავის ბიჭიკო ბენდელიანის სახლ-მუზეუმი, დაანგრიეს შინმოუსვლელთა ობელისკი და მის ადგილზე ააშენეს ეკლესია. ეკლესიის წინააღმდეგი როდი ვარ, მაგრამ იქ ეკლესიის ადგილი ისეც გამოინახებოდა და შინმოუსვლელთა მემორიალის დანგრევის არანაირი საჭიროება არ იყო.

ქუთაისში დიდების ძეგლის ბარბაროსულად დანგრევას ადამიანები ემსხვერპლნენ. ჩემი ტოლი ქალი გამოვიდა ტელევიზიით და განაცხადა: „გამოგვიცხადეს, რომ დიდების ძეგლის დანგრევისას გავხიზნულიყავით – ასეც მოვიქეცითო“. მთელი ქუთაისი ფეხზე უნდა დამდგარიყო, გამოეთქვა ერთსულოვანი პროტესტი ძეგლის დანგრევის მცდელობისთვის. გორში ხომ სტალინის ძეგლი გორელებმა დაიცვეს!

მე არ ვიცი ისეთი ქვეყანა, რომელსაც თავისი ისტორიისთვის ხაზი გადაესვა, ამოეღო მთელი ეპოქა კარგიანად და ცუდიანად, არანაირი კვალი არ დაეტოვებინათ იმ საზოგადოებრივი წყობილებისა, რომელსაც არა მარტო მისი სამშობლოს წინაშე აქვს დამსახურება, არამედ ევროპის წინაშეც, როცა გერმანელი ფაშისტები თავისივე ბუნებაში მოახრჩო. ამტკიცებენ, დემოკრატიას ვაშენებთო. ქონებრივი დეკლარაციები კი აჩვენებს, რომ კაპიტალიზმს აშენებენ. ამ წყობას კი მოყვება ლატაკთა ამბოხი. გეშინოდეთ მისი!



ახლანდელმა მთავრობამ 1990-იან წლების შემდეგ მოსახლეობას ეკონომიურ პრობლემად გადაუქცია მიწის მფლობელობის საკითხი. მსხვილმა მოიჯარეებმა ხელში ჩაიგდეს მიწების დიდი ნაწილი (საშუალოდ 100 ჰა თითოეულმა). ახლა მათთვის მიწის ჩამოსართმევად, უკანონოდ პრივატიზაციის ფაქტის დადასტურებაა საჭირო – რასაც სახელმწიფო არ კისრულობს. 100 ჰა პატრონები კი მიწას თავისით არ დათმობენ.

ნახევარი საქართველო ემიგრაციაშია. რა თქმა უნდა, ასეთი მასობრივი ემიგრაციის მთავარი მიზეზი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორია – უმუშევრობა, ცხოვრების დონის დაცემა, ხვალინდელი დღისადმი რწმენის დაკარგვა და პოლიტიკური არასტაბილურობის განცდაა.

ოპოზიციაზე სიტყვასაც არ დავძრავ. მაპატიონ ნამდვილმა ოპოზიციონერებმა, რომლებიც მძიმედ განიცდიან არსებულ სიტუაციას, დანარჩენნი კი პირად ცხოვრებას აგვარებენ, საზღვარგარეთ დარბიან...

ჩემი საყვარელი ტელეგადაცემაა „პროფილი“. ერთ-ერთი გადაცემა მიეძღვნა სამ არასრულწლოვან ბავშვს, რომლებსაც მშობლები არა ჰყავთ, ბებია ზრდიდა – ისიც მოუკვდათ. მხოლოდ მამიდა აკითხავთ, ისიც გაჭირვებული. ცხოვრობენ კარავში – მაღლივ კორპუსთან ახლოს. უფროსი, 13 წლის გოგონა უვლის ძმებს. მეგონა წამყვანი შემდეგ გადაცემაში გვახარებდა, ბავშვებს ბინა მისცესო. ისიც მეგონა, პირველ იანვარს ვინმე მიულოცავდა. ასეთი გულგრილობა კარგს არაფერს მოგვიტანს. რად გვინდა ასეთი ცნობები, თუ საქმე არ გაკეთდება? წერე და იკითხეს სტადიაში ვართ, სირცხვილია ეს!

მე შორიდან ვიცნობ ბიზნესმენ კერვალიშვილებს. რჩეულიშვილის მეუღლისგან არაფერს ველოდი, მაგრამ მეგონა, მეორე და რუსუდანი (ის მშენებლობითაა დაკავებული) ამ ბავშვებს აუცილებლად აჩუქებდა ერთოთახიან ბინას. არაფერი ამის მსგავსი. არც „პროფილის“ წამყვანმა გვაცნობა ბავშვების შემდგომი ბედი! რამდენ ერთშვილიან ოჯახს აქვს 2 და 3 სასახლე. ესენი საუბრობენ დემოკრატიაზე?

ახალი კაპიტალიზმი ძველზე უფრო მკაცრი და გაუმაძღარია – მაგრამ დრო მოვა და მისი ქურუმები ინანებენ. რად გინდათ ამდენი ქონება, სიცოცხლე ხანმოკლეა, ჩქარა მოვა ამქვეყნიდან წასვლის დრო – „შენ რას წაიღებ იმ ქვეყნად, სხვას არა წაუღია რა!“

საზოგადოება დაკნინდა, ქართული ტრადიციები მოისპო. აღარ არსებობს მეგობრობა, სიყვარული, ურთიერთპატივისცემა. გამეფდა პროსტიტუცია, ქალი გაშიშვლდა სულიან-ხორციანად. ყველა ჟურნალი და გაზეთი სექსზე წერს.

საშინლად მაღელვებს სამშობლოდან გადახვეწილთა ბედი. თავს უშველეს – საქართველო მიატოვეს. ყველა ისინი რომ აქ იყვნენ, უსამართლობას არავის შევარჩენდით – ერი ერთად აღსდგებოდა მის წინააღმდეგ. ვისთვის შენდება, მშვენდება საქართველოს დედაქალაქი? მხოლოდ იმათთვის, ვის ხელშიცაა ყველაფერი. რამდენი უბინაო, უმუშევარი, მშიერია ქალაქში, მათთვის, არ შენდება ეს სასახლეები. თუ ვინმემ რაიმე ქველმოქმედება ჩაიდინა, აუცილებლად ტელევიზიით გაცხადდება, ეს ქველმოქმედება თავის გამოსაჩენად სჭირდებათ, თორემ ჩუმად, სხვის დაუნახავად ერთ თეთრსაც ვერ გააგდებინებ.

თავის დროზე ე. შევარდნაძემ დაგვამშვიდა: „ახლა ჩვენ კაპიტალიზმს ვაშენებთ – იქნებიან მდიდრები და ღარიბებიო“. მე მჯერა, შევარდნაძე რომ მისი დანაშაულებისთვის დაესაჯათ, სააკაშვილი სწორ გზას აირჩევდა. ქვეყანა ნორმალურ პირობებს ვერ უქმნის ვერც ჯანმრთელს და ვერც ავადმყოფს, ვინც დასაქმებულია, იმასაც არ აქვს სამყოფი ხელფასი და ცხოვრების ელემენტარული პირობები. საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღარიბის ზღვარზე დაბლა იმყოფება. სად აქვთ ასეთ ადამიანებს 1000 ლარი მშობიარობისთვის. კობა დავითაშვილმა გამოგვიცხადა: „გავიმარჯვეთ, მოსწავლეებს უფასოდ დაურიგდებათ სახელმძღვანელოებიო“. მისასალმებელია, მაგრამ მცირე პენსიის მქონეებმა რითი ვიყიდოთ აგრერიგად გაძვირებული წამალი? არადა, საზღვარგარეთიდან ჩამოსულებს შეეხარბებათ, როცა ნახავენ ახალ მშენებლობებს, გზებს, სასტუმროებს. მაგრამ ამის მიღმა ვერ ამჩნევენ, რომ მოსახლეობის 70 პროცენტი სარდაფებში, ვიწრო ან დანგრეულ ბინებშია მშიერ-მწყურვალი.

ამონაწერი გაზეთებიდან:

„საზოგადოება მთლიანად დაიშალა და წაიშალა შევარდნაძის დროს – როცა განუკითხაობა გამეფდა, როცა ანაბრები წაართვეს ხალხს, როცა საქართველოში სიძულვილმა და მკვლელობებმა იმძლავრა“;

„თანამედროვე მომხმარებლური საზოგადოება, რომლის ღირებულებათა მთელი სისტემა ეკონომიკაშია თავმოყრილი, ადამიანებს სულიერ სიღატაკეში სტოვებს“...

ჩემი მასწავლებლობისას საქართველოს სკოლებში არსად არ მოუკლავს მოსწავლეს მოსწავლე! დღეს ლამის ყოველდღე ვიგებთ ასეთ ფაქტებს. ამ წყობამ ვერ მონახა აღზრდის სწორი გზა. ვერ მონახა ვერც პატრონი, რომელიც მიწას დაამუშავებდა. ამიტომაცაა სავარგულები ლამის მთლიანად დაუმუშავებელი, ყამირად გადაქცეული. მოსახლეობის მცირე ნაწილი, რომელმაც საარსებო საშუალებად სპეკულაცია გამონახა – ყვლეფს ისევ ღარიბებს და ამდიდრებს ახლანდელ ხელისუფლებას. ასეთი მცხოვრებთა 5 პროცენტია, ისინი არად აგდებენ 95 პროცენტს მოსახლეობისას, რომელიც ღატაკია. სიძულვილი, გაუმაძღრობა, გაუტანლობა გამეფდა. სანამდე გაძლებს ხალხი?

ჩვენი რაიონი მწირშემოსავლიანია, მაგრამ მეაბრეშუმეობით, მეჩაიეობით, მევენახეობით მოწინავეთა რიგებში იდგა ოდითგანვე. აქ 5 ჩაის ფაბრიკა მუშაობდა, იყო გრენქარხანა, სათაო პარკსაშრობი, ღვინის ქარხანა, ქუთაისის ავტოქარხნის ფილიალი, რამდენიმე მცირე სიმძლავრის ჰესი, პროფტექნიკური სასწავლებელი, გორაბერეჟოულის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, ჩხავერის საბჭოთა მეურნეობა, სანერგე მეურნეობა, საკონსერვო ქარხანა, ლიმონათის ჩამომსხმელი ქარხანა, მეფრინველეობის ფერმა, საქონლის ფერმები (ყოველ სოფელში), აბანო, კინოთეატრი, თეატრი, ბავშვთა სახლი, უნივერმაღი, ფოსტა-ტელეგრაფი, რაიონს ემსახურებოდა 9 საავადმყოფო, 11 ამბულატორიული პოლიკლინიკა, 26 საფერშლო-საბეანო დაწესებულება 79 ექიმითა და 366 მედმუშაკით...

ახლა: 5 ჩაის ფაბრიკა, ღვინის ქარხანა, ქუთაისის ავტოქარხნის ფილიალი, ჰესი, პროფტექნიკური სასწავლებელი, ტექნიკუმმა დაკარგა ფუნქცია, შემცირდა საავადმყოფოების რიცხვი, გაიყიდა უნივერმაღი, სასტუმრო, გასტრონომი, თეატრი დაიწვა. აღარაა: ღვინის და საკონსერვო ქარხნები, მეფრინველეობის ფერმა, ჩხავერის საბჭოთა მეურნეობა. არის ფოსტა-ტელეგრაფი, მაგრამ ვერ ემსახურება მოსახლეობას და გაყიდვა სცადეს!

სამაგიეროდ ყოველ ნაბიჯზე წვრილი სავაჭროები, აფთიაქებია, სადაც ფასებს თვით გამყიდველები აწესებენ. უჭირს ხალხს საქონლის ყიდვა, არადა, ეს სავაჭროები გადატვირთულია საზღვარგარეთული პროდუქტებით. ახალი თეატრის მშენებლობა დაწყებული იყო – საძირკველი ჩასხმული. შევარდნაძის პრეზიდენტობისას გადაბრუნდა ყველაფერი – აღარ აშენებულა თეატრი. პირიქით, რაც რამ აშენებული იყო, გაიყიდა ან გაუქმდა ან ხალხმა მიითვისა – უკანონობამ ხალხის ნაწილი მტაცებლებად გადააქცია!

საჭამიასერის თემის საზოგადოება ცნობილი იყო რაიონში... გვქონდა ღვინის ტრესტი, ფოსტა-ტელეგრაფი, სასოფლო მაღაზია, კულტურის სახლი, საავადმყოფო, ჩხავერის საბჭოთა მეურნეობა, პურსაცხობი, სოფლსაბჭოს შენობა, საყოფაცხოვრებო სახლი... ყველაფერი გაჩანაგდა, დაინგრა ან გაიყიდა. აღარაა ჩხავერის მეურნეობა, არ ფუნქციონირებს საავადმყოფო, არ მუშაობს კულტურის სახლი, ღვინის ტრესტი, პურსაცხობი, საყოფაცხოვრებო სახლი დაინგრა. მოისპო თემის შემოსავლის წყარო: მეჩაიეობა, მეაბრეშუმეობა, მევენახეობა, ადრე გლეხი მიწას ამუშავებდა მთავრობის დახმარებით. ახლა სოფელი გლეხებისგან დაიცალა. რამდენიმე გლეხი მიწას ამუშავებს დაქირავებული შრომით.

დაიცალა თემის სოფელი თხილაგანი, ნაწილობრივ – ზემოხეთი, მამულარი, ქვემოხეთი. კალაგონში კი, სადაც 60 კომლი ცხოვრობდა და მძლავრი სოფელი იყო, ამჟამად 6 ოჯახიღა ცხოვრობს – ისიც მოხუცები.

თემს ემსახურებოდა საავადმყოფო, სადაც მომსახურება, რა თქმა უნდა, უფასო იყო. მარტოხელა მოხუცებს მედპერსონალი ზამთრის პერიოდში საავადმყოფოში მოათავსებდა – უფასოდ კვებავდა და მკურნალობდა. რის უფლებასაც კანონი აძლევდა!

სოფლებში უამრავი მიტოვებული სახლია – აღრიცხეს, მაგრამ რატომ, არ ვიცი! გაჩანაგდა თემი, ჩაკვდა ცხოვრება, გამგებლები კი სხედან უსაქმოდ – იმასაც ვერ ახერხებენ, რომ წესრიგი დაამყარონ. გაყოჩაღდნენ არაკაცები: მიითვისეს უპატრონოდ დარჩენილი მიწები და გაძარცვეს სახლები. წინსვლასა და მშენებლობაზე ლაპარაკი ზედმეტია! ქვეყნის ხელმძღვანელები კი ღაღადებენ: პირველად საქართველოში!... მაინც რა გაკეთდა პირველად საქართველოში? მხოლოდ ნგრევა! ფრთხილად, თორემ ვიღაცა დაწერს, თუ რა მოხდა თქვენს დროს საქართველოში.

მაინტერესებს რა ხასიათზეა დღეს ბატონი თამაზ წივწივაძე, რომელმაც „ლოზუნგების ქვეყანა“ დაწერა. იყო ლოზუნგები, შეცდომებიც, მაგრამ მთავარი – ქვეყანა საყოფაცხოვრებო და სოციალური პირობებით, განათლების, ჯანდაცვის მხრივ ისეთ მაღალ დონეზე იდგა, როგორც არასდროს...

**ნათელა ხუნდაძე**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# სოხუმი მიწით არ ვაჭრობს

**რუსეთი სამი წლის განმავლობაში აფხაზეთს ათ მილიარდ რუბლს მისცემს – ეკონომიკის ამაღლების მიზნით. საპასუხოდ აფხაზეთი მზად არის გადასინჯოს თავისი კანონმდებლობა და დაიცვას უძრავი ქონების უცხოელი მყიდველების უფლებები. მხოლოდ ისინი თუ შეიძენენ ახალმშენებლობას. მიწით ვაჭრობას აფხაზეთის ხელისუფლება საერთოდ არ აპირებს**



უკვე მარტში დამტკიცდება აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის კომპლექსური გეგმა, განაცხადა პარასკევს რეგიონალური განვითარების მინისტრმა ვიქტორ ბასარგინმა. აფხაზეთის მხარე უკვე საქმის კურსშია: მეორე დღეს აფხაზეთის პრემიერ-მინისტრმა სერგეი შამბამ განმარტა, რომ ამ დოკუმენტის შესაბამისად რესპუბლიკა 2012 წლამდე მიიღებს ათ მილიარდ რუბლს. მან დააზუსტა გეგმის მიღების თარიღიც – 27 მარტი. რუსეთის ფულით აფხაზებს განზრახული აქვთ „ძალიან ბევრი მშენებლობა", მარტო გზები აშენდება დაახლოებით 160 კილომეტრზე, უხარია შამბას. სახსრებს აგრეთვე დააბანდებენ საკურორტო ინფრასტრუქტურის ობიექტებში, სასოფლო მშენებლობაში, გამოიყენებენ სოციალურ პროგრამაში. ფული რუსეთს აქვს, აღნიშნავენ ექსპერტები, მარტო ნავთობზე მაღალი ფასების ანგარიშზე ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ 500 მილიარდ რუბლზე მეტი შემოსავალი გეგმის გადაჭარბებით. ასე რომ, ჩვენთვის ეს – თითქოს ხურდა ფული იყოს, აი აფხაზებისთვის კი სერიოზული ინვესტიციებია.

ბუნებრივია, დგება საკითხი, რას მიიღებს რუსეთი სამაგიეროდ. გარდა გეოპოლიტიკური ინტერესებისა, ჩვენს ქვეყანას აქვს მეზობლებთან ერთი უსიამოვნო საკითხი. ისინი, ვინც ამ მეგობრულ რესპუბლიკაში იყიდეს სახლი, ხშირად კარგავენ მას, როგორც კი იქიდან წავლენ. ქონება ცხადდება „უპატრონოდ".

შამბამ განმარტა: სოხუმი მზად არის დიალოგისთვის, იგი არსებითად უარს ამბობს არსებულ პრაქტიკაზე და არ ასახელებს კონკრეტულად, თუ ვინ ტაცებს რუსებს უძრავ ქონებას, უბრალოდ, უწოდებს მათ „აფერისტებს":

– იმ სიტუაციაშიც კი, როდესაც კანონით ეს ნებადართული არ არის, ვხედავთ, რომ ხალხი პოულობს რაღაც ხვრელს კანონმდებლობაში და ეს იწვევს სამართალდარღვევებს, კორუფციას, ამ ნიადაგზე ბევრი აღმოჩნდება ხოლმე ყოველგვარი აფიორის მსხვერპლი.

აფხაზეთში მზადდება ახალი კანონი, რომელიც გარიგებას უძრავ ქონებასთან დაკავშირებით უფრო მარტივს ხდის. თუმცა როგორი იქნება იგი, ჯერჯერობით გაურკვეველია. ადრე აფხაზეთის პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში ამბობდა, რომ მიწა არ გაიყიდება, თავად აფხაზებზეც კი. ნოვაცია მიზნად ისახავს, რომ უცხოელებს მისცენ ამის ნება პირველადს ბაზარზე, განმარტა მან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოხუმს განზრახული აქვს ახალი კანონებით სტიმული მისცეს თავის სამშენებლო ბიზნესს: იმის შესყიდვა კი ხომ არ შეიძლება, რაც ადრე იყო უკვე აშენებული. შესაბამისი იქნება, ალბათ, ფასებიც.

ამ სიტუაციაში ფასებთან დაკავშირებით უნდა იყო ძალიან ყურადღებიანი, გვირჩევენ კომპანია „ფინამში". თუ იგი 30 ათას რუბლზე მეტი იქნება ერთი კვადრატული მეტრისთვის, გარიგებას, ალბათ, აზრი არა აქვს, მიაჩნია ანალიტიკოს ალექსანდრ ოსინს. ამჟამად ფასები იზრდება. თავისი იდეით აფხაზეთი შეიძლება მიმზიდველი იყოს შედარებით არამდიდარი მყიდველებისთვის, მიაჩნია ერთ-ერთ ექსპერტს, მაგრამ მაინც უნდა აწონ-დაწონო რისკი: უძრავი ქონება ფასის მიხედვით ხელმისაწვდომია ყირიმის ზოგიერთ რეგიონში, ბულგარეთშიც, თანაც იქ იგი უფრო დაცულია.

**ევგენი არსიუხინი**

ИЗВЕСТИЯ

# განცხადება

ცხადდება კანდიდატების შერჩევა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოების – **ამბროლაურის, ახალქალაქის, ახალციხის, ბოლნისის, ვანის, ზესტაფონის, მარნეულის, სამტრედიის, ჩოხატაურის, წალკისა და ხონის ადგილობრივი არქივების** დირექტორების ვაკანტურ თანამდებობებზე. შერჩევა განხორციელდება გასაუბრების, კომპიუტერზე მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და სახელმწიფო ენის ცოდნის შემოწმების სახით.

**შერჩევა ჩატარდება:**

**ამბროლაურის, ვანის, ზესტაფონის, სამტრედიის, ჩოხატაურისა და ხონის ადგილობრივი არქივების** დირექტორთა ვაკანტურ თანამდებობებზე 2010 წლის 27-28 აპრილს შემდეგ მისამართზე: ქუთაისი, ვაგზლის მოედანი, №3ა;

**ახალქალაქის, ახალციხის, ბოლნისის, მარნეულისა და წალკის** ადგილობრივი არქივების დირექტორთა ვაკანტურ თანამდებობებზე 2010 წლის 29-30 აპრილს შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი, №1.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

1. ზოგადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) სახელმწიფო ენის ცოდნა;

გ) კომპიუტერული პროგრამების Windows, Word, Internet ცოდნა და კომპიუტერზე მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები;

დ) შრომითი სტაჟი არა უმცირეს ერთი წლისა საარქივო საქმისა და საქმისწარმოების დარგში, სახელმწიფო ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, მათი სისტემის დაწესებულებებში.

სასურველია მენეჯერული გამოცდილება ან ადმინისტრაციულ ორგანოში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მინიმუმ ერთი წლის მუშაობის სტაჟი.

2. საქართველოს ნორმატიული აქტების ცოდნა:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ბ) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", თავი II, მ. 11; თავი III, მმ. 15,16; თავი IV, მმ. 19,20; თავი V, მ. 21; თავი VI, მ. 38; თავი VII, მ. 43; თავი XIII, მ. 65;

გ) საქართველოს კანონი „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ";

დ) საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ";

ე) „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-3 თავი;

ვ) „საქართველოს შრომის კოდექსი";

ზ) „საქმისწარმოების ერთიანი წესები" (დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულებით);

თ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ეროვნული არქივის დებულება" (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 12 მარტის ბრძანება №71ძ;

ი) „დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესები" (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის ბრძანება №174ძ;

კ) „ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების შენახვისა და დაცვის პირობები" (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 13 ნოემბრის №263 ბრძანებაძ

3. არქივმცოდნეობის, საქმისწარმოებაში დოკუმენტების ორგანიზაციისა და საარქივო საქმის მართვის ძირითადი დებულებების, ცნებებისა და მეთოდიკის ცოდნა.

ა) ეროვნული საარქივო ფონდი: ცნება, შემადგენლობა (მათ შორის: ადგილობრივი არქივის დოკუმენტების შემადგენლობაძ, ფორმირების წესი – იხ. საქართველოს კანონი „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ", თავი I, მმ. 3,9, თავი III; „საქართველოს არქივები. ცნობარი - მიმოხილვა" (თბ., 2000ძ, თავი მეათე;

ბ) დაწესებულებებში დოკუმენტების შენახვის ორგანიზაცია – იხ. საქართველოს კანონი „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ", თავი IV, მ. 17; „დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესები" (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის ბრძანება №174ძ; „საქართველოს არქივები. ცნობარი - მიმოხილვა" (თბ., 2000ძ, თავი მეექვსეძ;

გ) დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის ჩატარების წესი – იხ. „დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესები" (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის ბრძანება №174ძ, თავი III;

დ) ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების აღრიცხვის პრინციპები, ცენტრალიზებული აღრიცხვის სისტემა – იხ. საქართველოს კანონი "ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ", თავი V; "ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების ცენტრალიზებული აღრიცხვის წესი" (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 13 ნოემბრის ბრძანება №262ძ;

ე) საარქივო დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფა – იხ. საქართველოს კანონი „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ", თავი IV; „ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების შენახვისა და დაცვის პირობები" (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 13 ნოემბრის ბრძანება №263ძ;

ვ) საარქივო დოკუმენტების სამეცნიერო-საცნობარო აპარატის შემადგენლობა – იხ. „სახელმწიფო არქივების მუშაობის ძირითადი წესები" (თბ. 1988ძ, კარი 4; „დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესები" (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის ბრძანება №174ძ, თავი VIII;

ზ) ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტებით სარგებლობის პრინციპი, დოკუმენტებთან დაშვების წესი, სარგებლობის შეზღუდვა; მოქალაქეთა სოციალურ-უფლებრივი ხასიათის შეკითხვების შესრულება – იხ. საქართველოს კანონი „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ", თავი VI;

თ) საარქივო საქმის მართვის სტრუქტურა, არქივების ქსელი, ადგილობრივი არქივის მუშაობის ორგანიზაცია: დაგეგმვა, ანგარიშგება, სამუშაოს ნორმირება იხ. – საქართველოს კანონი „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ", თავი II; „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ეროვნული არქივის დებულება" (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 12 მარტის ბრძანება №71ძ.

**წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა:**

1. აუცილებლად წარსადგენია:

ა) კანდიდატის განცხადება;

ბ) ავტობიოგრაფია;

გ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა;

დ) კანდიდატის მიერ უმაღლესი სასწავლო დაწესებულების დამთავრების და შესაბამისი კვალიფიკაციის (სპეციალობისძ მიღების დამადასტურებელი დადგენილი ფორმის დოკუმენტი;

ე) შრომითი სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. ნებაყოფლობითია შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა:

ა) სხვადასხვა სასწავლო კურსისა და ტრენინგის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტები;

ბ) წინა სამუშაო ადგილიდან დახასიათებები და რეკომენდაციები;

გ) რაიონში საარქივო საქმის განვითარებისა და ადგილობრივი არქივის მუშაობის სრულყოფის შესახებ წინადადებები.

ზემოდასახელებული დოკუმენტების პირები წარდგენილი უნდა იქნეს ეროვნული არქივის ცენტრალურ აპარატში კანდიდატის მიერ პირადად, ფოსტით, ფაქსით ან ელექტრონული ფოსტით 2010 წლის 20 აპრილამდე.

ზემოდასახელებული დოკუმენტების დედნებს კანდიდატი წარადგენს ვაკანსიაზე შესარჩევ ღონისძიებებზე გამოცხადებისას.

**საკონტაქტო მონაცემები:**

ეროვნული არქივის ცენტრალური აპარატის საფოსტო მისამართი:

0160, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, №1

ტელეფონი: (995 32ძ 37 28 01, 37 49 25, 37 39 25, 38 28 46;

ფაქსი: 37 28 01;

ელ. ფოსტა: info@archives.gov.ge

**საკონტაქტო პირი – ეროვნული არქივის ცენტრალური აპარატის ტერიტორიულ ორგანოებთან მუშაობის განყოფილების უფროსი მერი ბიწაძე (ტელ.: 37 49 25, მობ. 895 36 40 60ძ.**

## დედამიწის ზურგზე



**სიმდიდრეს სიხარული მოაქვს მხოლოდ მათთვის, ვისაც ღარიბი მეზობლები ჰყავს, გამოარკვიეს ბრიტანელმა მეცნიერებმა**

საოჯახო მეურნეობის საქმეთა ბრიტანული კომისია შვიდზე მეტი წლის განმავლობაში იკვლევდა ათი ათასზე მეტ კაცს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ბედნიერად გრძნობენ ისინი თავს. მონაცემების ანალიზის შედეგად გამოირკვა, რომ უმაღლესი ბედნიერებაა – იყო უფრო მდიდარი მეზობლებზე, მეზობლებზე მატერიალური უპირატესობა კი – გამომუშავების ძირითადი მოტივია.

* * *

**კლინტონი და ნეთანიაჰუ შეხვდნენ პირისპირ სასტუმრო „მეიფლაუერში"**

შეხვედრა, რომელიც მიძღვნილი იყო პალესტინა-ისრაელის მოლაპარაკებასთან დაკავშირებული საკითხებისადმი, საათზე მეტი გაგრძელდა. მოგვიანებით მათ შეუერთდა ისრაელის თავდაცვის მინისტრი. საინტერესოა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში შეხვედრის შედეგებთან დაკავშირებით არაფერი ყოფილა ნათქვამი ისრაელის გეგმების შესახებ ახალი საცხოვრებლების მშენებლობის შესახებ აღმოსავლეთ იერუსალიმში.

* * *



**რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრი გაემგზავრა ვიეტნამში რუსული იარაღის გასაყიდად**

რუსული იარაღის მთავარი უცხოელი დამკვეთების – ჩინეთისა და ინდოეთის აქტიურობის შემცირების პირობებში საჭირო გახდა ახალ ბაზარზე დამკვიდრება. აკეთებენ პროგნოზს, რომ ვიეტნამი უახლოეს წლებში ინდოეთის შემდეგ დაიკავებს მეორე ადგილს რუსეთის პარტნიორებს შორის სამხედრო-ტექნიკურ სფეროში.

* * *

**ობამას დაემუქრნენ კონგრესის მიერ ჯანმრთელობის დაცვის შესახებ რეფორმის კანონპროექტის მიღების შემდეგ**

ამერიკის შეერთებული შტატების საიდუმლო სამსახურმა დაიწყო ქვეყნის პრეზიდენტის მისამართით წამოსული მუქარის ფაქტების გამოკვლევა. ამას გარდა 11 შტატის პროკურორს განზრახული აქვს სასამართლოს მეშვეობით დაადასტუროს, რომ თეთრი სახლის მიერ ინიცირებული კანონპროექტი ეწინააღმდეგება ქვეყნისავე კონსტიტუციას.

* * *

**ხოცვა-ჟლეტა ჩინეთის სკოლაში – ყოფილმა ექიმმა მოკლა 8 და დაჭრა 7 ბავშვი**

დაწყებით სკოლაზე თავდასხმა მოხდა სასწავლო დღის დასაწყისში, როდესაც ბავშვები კლასებში შედიოდნენ. თავდამსხმელი, ყოფილი ექიმი შეიარაღებული იყო დანით. მან მოასწრო 13 ბავშვზე თავდასხმა, 6 მათგანი მოკლა ადგილზე, დანარჩენები დაიჭრნენ. საავადმყოფოში მიყვანილი 7 დაჭრილი მოსწავლიდან 2 გარდაიცვალა.



◉ დიდი ტერორი?

ალექსანდრ ელისეევი

# 1937 წლის გამოცანის ამოხსნა

## „საუკუნის დანაშაული“ თუ ქვეყნის გადარჩენა?

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 14-52.

ტროცკის ერთ-ერთი სერიოზული და ობიექტური მკვლევარი ი.ვ.ემელიანოვი წიგნში „ტროცკი. მითები და პიროვნება“ პარვუსის საქმიანობას ასეთ კომენტირებას უკეთებდა: „იქმნება შთაბეჭდილება, რომ გავლენიანი საფინანსო წრის წარმომადგენელი პარვუსი (და, ალბათ, არა მარტო იგიძ ყველაფერ შესაძლებელს აკეთებდა, რათა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ხელისუფლების სათავეში სოციალ-დემოკრატების მოსვლას არ გამოეწვია კაპიტალისტური სისტემის კრახი. მაგრამ ის გამოხატავდა ეროვნებათაშორისი საფინანსო დაჯგუფებების ინტერესებს და აშკარად იყო დაინტერესებული, რომ მსოფლიოში საზოგადოებრივ ცვლილებებს გამოეწვია ისეთი რამ, რაც, სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ ბურჟუაზიას დააყენებდა ინტეგრირებული ევროპის საერთაშორისო მონოპოლიებისა და სახელმწიფოს თავში მდგარი სტრუქტურების კონტროლის ქვეშ. საბოლოო ჯამში XX საუკუნის ისტორია დასავლეთ ევროპაში წავიდა სწორედ იმ გზით, რომელსაც პარვუსი სახავდა. როგორც ცნობილია, დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიული და სოციალისტური პარტიების ხელისუფლებაში მოსვლას კაპიტალიზმის დაცემა კი არ გამოუწვევია, არამედ იგი მტკიცდებოდა კიდეც. XX საუკუნის დასასრული კი აღინიშნა მსოფლიოში ტრანსნაციონალური კორპორაციების ჰეგემონიის დამყარებით, აგრეთვე დასავლეთ ევროპის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციით“.

წყაროების მიერ დამოწმებული მეტად საინტერესო მონაცემები მოჰყავს ამერიკელ ისტორიკოსს ე.სატონს წიგნში „უოლსტრიტი და ბოლშევიკური რევოლუცია“. მის თანახმად, ტროცკის ძალიან მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა ამერიკის საბანკო წრეებთან. კავშირი ხორციელდებოდა მისი ბიძის ა.ჟივოტოვსკის მეშვეობით, რომელიც ოდესღაც კიევში ბანკირი იყო, შემდეგ კი სტოკჰოლმში წავიდა ემიგრაციაში. თავად ჟივოტოვსკი ანტისაბჭოურად იყო განწყობილი, მაგრამ სიამოვნებით ეხმარებოდა „ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას“ საზღვარგარეთის სავალუტო ოპერაციებში.

როდესაც ტროცკი კვლავ აღმოჩნდა ემიგრაციაში, ამჯერად უკვე „წითელი მეფის“ ნებით, კაპიტალისტებს არ დაუტოვებიათ გაჭირვებაში თავიანთი გამძვინვარებული გამომააშკარავებელი. ბურჟუაზიულმა პრესამ სიამოვნებით დაუთმო მას თავისი გამოცემების გვერდები. „რევოლუციის დემონი“ იბეჭდებოდა ლორდ ლივერბრუკის უკიდურესად რეაქციულ გაზეთში, რასაც ხსნიდა იმით, თითქოს მას ფული არ აქვსო. მაგრამ ტროცკის ბიოგრაფი და მისი გულწრფელი თაყვანისმცემელი ი.დეიჩერი აღიარებს, რომ სიღარიბე ლევ დავითის ძეს არასოდეს ემუქრებოდაო. მარტო პრინცის კუნძულებზე ცხოვრების დროს მას ჰქონდა შემოსავალი 12-15 ათასი დოლარი წელიწადში. 1932 წელს ბურჟუაზიულმა გაზეთმა „სათერდეი ივნინგ პოსტმა“ მას 45 ათასი დოლარი გადაუხადა წიგნის „რუსეთის რევოლუციის ისტორიის“ გამოცემისთვის.

ყველა საქმიანი ხალხის კანონია: „შენ – მე, მე – შენ“. ტროცკიც ხშირად ეხმარებოდა მისთვის ასე საზიზღარი „მსოფლიო ბურჟუაზიის“ წარმომადგენლებს. მაგალითად, 1923 წელს მან მეტად დროული დახმარება გაუწია ჰამერების ამერიკელ მეწარმეთა ოჯახურ ფირმას „ელაიდ ამერიკენს“, უფრო ზუსტად მის მოსკოვურ ფილიალს „ალამერიკოს“. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი მაშინ აპირებდა გაეუქმებინა პრივილეგიები, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ მიანიჭა ამ ფხიან ბურჟუებს. სახალხო კომისარიატის ინსპექციამ, როდესაც შეამოწმა ა.ჰამერის ანგარიშები, დაადგინა, რომ „ალამერიკო“ იღებდა ძალიან დიდ მოგებას. აღმოჩნდა, რომ ის აწესებდა უზარმაზარი თანხების პარტნიორებისთვის დაუსაბუთებელ შეღავათებს და ფულს ურიცხავდა მესამე პირებს. კომპანიის ხელშეკრულება გ.ფორდთან, რის მიხედვითაც ჰამერი აწარმოებდა შუამავლობას საბჭოთა რუსეთისთვის ტრაქტორების მიყიდვის საქმეში, მიჩნეული იქნა „მავნედ“ და ქვეყნისთვის „ზიანის მიმყენებლად“. მიღებული იქნა კომპრომისული ვარიანტი. „ალამერიკო“ სცენიდან უნდა ჩამოსულიყო, თუმცა არა უმალვე. მას ნება მისცეს ევაჭრა ლიცენზიებით, რისთვისაც ლებულობდა გაზრდილ საკომისიოებს, თუმცა იმ დრომდე, სანამ არ გამოისყიდიდა ხარჯებს. გარკვეული დროის განმავლობაში ფირმას უნდა ეთანამშრომლა ფორდთან, მაგრამ განსაკუთრებული საბჭოთა ორგანოების მკაცრი კონტროლის ქვეშ. მალე წარმოიქმნა ერთი მათგანი – „ამტორგი“, რომლის ხელმძღვანელმაც ი.ხურგინმა გამოაცხადა, რომ თავად კისრულობს ჰამერების საქმიან კავშირებს ფორდთან.

მაშინ სახელგანთქმული ა.ჰამერის მამა ჯულიუსი ეწვია ჯერ კიდევ უძლეველ ტროცკის. ისინი ერთმანეთს კარგად იცნობდნენ ერთობლივი მავნე საქმიანობით, რომელიც 1917 წლის იანვარში ხორციელდებოდა. მაშინ ტროცკი ჯერ კიდევ არ იყო ბოლშევიკი, მაგრამ ბევრი რამ გააკეთა ამერიკის შეერთებული შტატების სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთის გააქტიურებისთვის. ამ პარტიის წევრი გახლდათ ჯ.ჰამერი. ამ უკანასკნელმა სთხოვა წითელ არმიის ბელადს მხარი დაეჭირა მისი საშუამავლო კონტაქტებისთვის ფორდთან. ჰოდა, „როგორ არ უნდა დახმარებოდა მახლობელ ადამიანს“? ტროცკიმ ყველაფერი გააკეთა, რაც მას ხელეწიფებოდა, და ხურგინს უბრძანეს – მხარი დაეჭირა ჰამერებისთვის. ალბათ, მან გამოიჩინა უხიაგობა, ვინაიდან გარკვეული დროის შემდეგ მისი ჯაჭვით შეკოჭილი ცხედარი ამოიღეს ჯორჯის ტბიდან (ნიუ-იორკის შტატიძ. აბა როგორ გინდათ, რევოლუცია რევოლუცია უნდა იყოს, დიდი ფული კი – დიდი ფული!




### მენშევიზმის რეციდივი

დაბოლოს, ისევ სოციალ-დემოკრატიაზე. ტროცკი მეტად ახლოს იყო მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიასა და მის რუსულ განშტოება მენშევიზმთან. რსდმპ II ყრილობაზე 1903 წელს, როდესაც პარტიაში მოხდა გამიჯნვა ბოლშევიკებად და მენშევიკებად, ის, ფაქტობრივად, ამ უკანასკნელების პოზიციაზე იდგა. შემდეგ ტროცკი წამოვა მენშევიკებიდან და დაიკავებს განსაკუთრებულ პოზიციას სოციალ-დემოკრატიაში. მაგრამ ამავე დროს ის მრავალგზის მოითხოვს დაბეჯითებით რუსული მარქსიზმის ორი ფრთის გაერთიანებას. მენშევიზმში მას ხიბლავდა რევოლუციური გლეხობის უარყოფა, აგრეთვე რუსი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების ორიენტაცია „მოწინავე დასავლეთზე“. მენშევიკებს მიაჩნდათ, რომ დასავლეთის პროლეტარიატის გარეშე რუს მუშებს არ შეეძლებათ თავიანთი რევოლუციის განხორციელება. ტროცკი კი უარყოფდა სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობას დასავლეთში პროლეტარული რევოლუციის გარეშე. ამას გარდა, მენშევიკებსაც, ტროცკისაც იზიდავდა დასავლური დემოკრატია, რომელიც უმეტესწილად თავისუფალია „რელიგიური“, „ნაციონალისტური“ და „კონსერვატიული“ ცრურწმენებისგან.

უკვე 30-იან წლებში, ემიგრაციაში, კომინტერნიდან გაძევებული ტროცკი შეეცდება ფსონს ჩავიდეს სოციალ-დემოკრატიაზე. ეს სავსებით შეესაბამებოდა მის სტრატეგიას – ეთანამშრომლა დასავლურ, ბურჟუაზიულ დემოკრატიებთან (სოციალ-დემოკრატები მათი მემარცხენე ფრთა იყოძ სტალინური ნაციონალ-ბოლშევიზმის წინააღმდეგ. „რევოლუციის დემონი“ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობდა ნორვეგიაში, სადაც იგი მიიწვია იქაურმა სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ. მაშინ მმართველი მუშათა პარტიის ორგანო წერდა ნორვეგიის მუშათა კლასის აღფრთოვანების შესახებ, რასაც იგი თითქოსდა განიცდიდა ტროცკისთან დაკავშირებით. № 1 რევოლუციურ კომუნისტს მიესალმა თავად ნორვეგიის მუშათა პარტიის ლიდერი და დამფუძნებელი მ.ტრანმალი.

აღფრთოვანება ცოტა შენელდა, როდესაც გაირკვა, რომ ტროცკი აქტიურად მუშაობს მისი შემფარველი მთავრობის წინააღმდეგ, აღვივებს მსოფლიო რევოლუციის კოცონს თავად ნორვეგიაში. მაშინ ტროცკი ჩამოაშორეს საზოგადოებრიობას ოთხი თვით, რის შემდეგაც ის წავიდა მექსიკაში, რომელსაც მართავდა პრეზიდენტი კარდენასი, ვისი ეროვნულ-რეფორმისტული პოზიციები მეტად ახლოს იყო სოციალ-დემოკრატების პოზიციასთან.

30-იან წლებში ტროცკიმ დალოცა თავისი ფრანგი მომხრეები – შესულიყვნენ იქაურ სოციალისტურ პარტიაში (სოციალისტური ინტერნაციონალიზმის საფრანგეთის სექციაძ. მათ დაუჯერეს მას და შექმნეს იქ თავიანთი ფრაქცია – „ფრანგული შემობრუნება“. გარკვეული დროის შემდეგ ტროცკიმ ყველა თავის „სიმპათიზანს“ ურჩია ასევე მოქცეულიყვნენ. ულტრამემარცხენეთა წინამძღოლმა კვლავ ასე შეუწყო ხელი კაპიტალიზმის გუნდს.

### „კეთროვანი“ მემარცხენეები

სავსებით გასაგებია, რომ ასეთ მოღვაწესთან კავშირები შეიძლება აღქმულიყო, როგორც შპიონაჟი. ყველას, ვინც დაკავშირებული იყო ტროცკისთან, ეპყრობოდნენ, როგორც კეთროვნებს. ზინოვიევსა და კამენევს მიაწერეს გერმანულ დაზვერვასთან კონტაქტები, მაგრამ ეს უკვე დიპლომატიის ხარკი იყო. დასავლურ დემოკრატიებთან მიმდინარეობდა ღია მოლაპარაკება, ფაშიზმი კი ოფიციალურად შეაჩვენეს. აქედანაა ბრალდებათა ფორმულირება.

უნდა ვაღიაროთ, რომ ზინოვიევისა და კამენევის კონტაქტები ტროცკისთან მასობრივი ტერორის დაწყების ერთ-ერთი მიზეზი იყო. აქ ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი დაემთხვა ერთმანეთს. ჯერ ერთი, ნამეტანი გაუვიდა თავს ტროცკის, რომელიც უკვე აშკარად დადგა უცხოეთის სახელმწიფოების მხარეზე. და ამით „რევოლუციის დემონმა“ გასვარა მემარცხენე ოპოზიციიდან თავისი მოკავშირეები ზინოვიევი და კამენევი. მეორეც, 30-იანი წლების შუა პერიოდში მემარცხენეების პოპულარობა მკვეთრად იზრდება. იქმნება ბაზა მასობრივი ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის შექმნისთვის. „აზოვშავი ზღვის რაიონის უმაღლესი სასწავლებლების შემოწმებამ აჩვენა ვრცელი თანაგრძნობა ნიკოლაევისა და ზინოვიევისადმი, – წერს ა.შუბინი. – სტუდენტები ვიწრო წრეში და ღია კრებებზეც კი ამბობდნენ: „ზინოვიევსა და კამენევს უზარმაზარი დამსახურება მიუძღვით რევოლუციის წინაშე, ისინი ლენინის მეგობრები იყვნენ, ახლა კი ამას ჩქმალავენ“, „უფრო ხშირად ხომ კლავდნენ ისეთებს, როგორიც იყო კიროვი, ცხოვრება უკეთესი იქნებოდა და ქვეყანა თავისუფლად ამოისუნთქავდა“; „ერთს მოუღეს ბოლო, მალე ყველას მოუღებენ ბოლოს. მალე ყველას ამოხოცავენ“; „მივესალმები ნიკოლაევს კიროვის მოკვლისთვის“... დაპატიმრებულ ზინოვიეველებს ჰქონდათ ფურცლების არქივები, ლენინის ანდერძი, რიუტინის პლატფორმა, იარაღი, რომელსაც ინახავდნენ სამოქალაქო ომის შემდეგ“ („ბელადები და შეთქმულები“ძ.

მემარცხენე რადიკალური განწყობილების ზრდას აღნიშნავს ს.მირონინიც: „1936 წლის ზაფხულზე... ტროცკიმ დაამთავრა მუშაობა წიგნის „გაყიდული რევოლუციის“ ხელნაწერზე, სადაც იგი მარქსისტული პოზიციიდან აკრიტიკებდა სტალინს. ამით ტროცკი შუბლმაგარ მარქსისტებს აგრძნობინებდა, რომ სტალინი უკვე ჩამოშორდა მარქსიზმს და ლენინიზმს. თავის წიგნში ტროცკი ადასტურებდა, რომ სწორედ ის, და არა სტალინი, არის ლენინისა და მარქსის მემკვიდრე. თანაც უდასტურებდა არა ყველას, არამედ მათ, ვინც ამისთვის იყო მზად, ესე იგი პოტენციურად მემარცხენე ბოლშევიკებს (ტროცკისტებს, ზინოვიეველებსა და კამენეველებსძ და საერთოდ მარქსისტ-ინტერნაციონალისტებს, ადასტურებდა, რომ სწორედ მარქსიზმის მემარცხენე ვერსია არის კანონიკური. ხმები ამ ნაშრომის შესახებ აღწევდა სსრ კავშირში და სტიმულს აძლევდა ანტისტალინურ განწყობილებებს. ტროცკისტულ განწყობილებათა ზრდა სსრ კავშირში (1935 წელიძ განსაკუთრებით შესამჩნევი იყო უმაღლეს პარტიულ სკოლებში. უმაღლესი პარტიული სკოლების სტუდენტებისთვის, რომლებიც მარქსსა და ლენინს პირველი წყაროების მიხედვით სწავლობდნენ, თანდათანობით ნათელი ხდებოდა, რომ ტროცკიზმი უფრო ახლოსაა მარქსიზმთან... მარქსი ხომ იმის კრიტერიუმებს იძლეოდა, თუ როგორ გავარჩიოთ მარქსისტი არამარქსისტისგან: მარქსისტი კი არ განამტკიცებს სახელმწიფოს, არამედ ხელს შეუწყობს მის „კვდომას“. ამ კრიტერიუმზე ამახვილებდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას ტროცკისტები... უცხოეთში გაქცეული ერთი დიპლომატი გ.ბესედოვსკი წერდა: „მოსკოვში პარტიული ახალგაზრდობის მრავალრიცხოვანი კადრები ვნახე, განსაკუთრებით უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებსაც ერთი სული ჰქონდათ დაეწყოთ ჩხუბი, და მეჩვენებოდა, რომ ვიდექი ახალი საბჭოთა დემოკრატიის ჩასახვის წინა დღეში“... ეს ვლინდებოდა ცხოვრებაშიც. მაგალითად, 1935 წელს 800 მეტრომშენებელი წავიდა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისკენ და იქ იატაკზე ყრიდნენ კომკავშირის ბილეთებს, თანაც მთავრობის საწინააღმდეგო დამაშინებელ სიტყვებს გაიძახოდნენ. „ვფიქრობ, რომ ეს იყო არა უბრალო სტიქიური გამოსვლა, არამედ კარგად დაგეგმილი აქცია. მაგრამ ყველაზე სერიოზული მდგომარეობა შეიქმნა გორკის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომლის სტუდენტებმაც შექმნეს ლენინისა და ტროცკის შრომების შემსწავლელი წრეები. აქ ხელიდან ხელში გადადიოდა პარტიული დოკუმენტები, მათ შორის სახელგანთქმული „ლენინის ანდერძი“. პარტიულ ნომენკლატურას შორის იზრდებდოდა მარქსისტულ-დოგმატიკური განწყობილება“ („სტალინური წესრიგი“ძ.

პოლიტბიურო მეტად შეშფოთებული იყო, და ორი ყოფილი ბელადის ბედიც უკვე გადაწყვეტილი იყო. ძველი ბოლშევიკების სიკვდილით დასჯის თავად ფაქტიც ერთგვარ მნიშვნელოვან პრეცედენტს ქმნიდა. ხელმძღვანელობამ ერთგვარი ზღვარი გადალახა, რის შემდეგაც აღარავინ შეიძლებოდა განხილულიყო როგორც ფიგურა, რომელიც ხელშეუხებელი იქნებოდა ძველი დამსახურებებისა და „ლენინური გვარდიის“ ერთგულების გამო.

ადრე ძველ ბოლშევიკებს ლენინის გარემოცვიდან განიხილავდნენ, როგორც ერთგვარ ღვთაებას, რომელიც შედიოდა ბრწყინვალე პანთეონის შემადგენლობაში. გამონაკლისი ტროცკი იყო, მაგრამ სწორედ ის არ ყოფილა ძველი ბოლშევიკი. „რევოლუციის დემონი“ პარტიაში შევიდა მხოლოდ 1917 წლის ზაფხულში. სხვა საქმე იყო ზინოვიევი, კამენევი, ბუხარინი, რიკოვი. მართალია, ისინი ჩამოვარდნენ პანთეონის მწვერვალიდან, გადავიდნენ მეორეხარისხოვან ღვთაებათა დონეზე, თუმცა შარავანდედი მათს გარშემო მაინც შენარჩუნებული იყო. მაგრამ ღმერთები მიწას დაანარცხეს და აღმოჩნდნენ ფუტკე კერპები. ერთმა „ღმერთებმა“ დაიწყეს სხვა „ღმერთების“ ხოცვა. მათ ეს ადრეც უნდოდათ, მაგრამ ახლა ამისთვის კარგი საბაბი მიიღეს.

(გაგრძელება იქნება)

ფეხბურთი

# ასე ვერ გავფრინდებით

**გუშინ ხუთი საათის განმავლობაში გრძელდებოდა 20 მარტს ჩაშლილი „ზესტაფონისა“ და რუსთავის „ოლიმპის“ ცენტრალური მატჩის პერიპეტიების გარჩევა. პირდაპირ უნდა ითქვას – იმ ვერდიქტით, რომელიც ქართული ფეხბურთის მამებმა გამოიტანეს, არათუ იმ მანკიერებებს ვერ აღმოვფხვრით, ჩვენს საყვარელ სპორტის სახეობას რომ ღრღნის, არამედ კიდევ უფრო წავახალისებთ უკეთურობას.**

თავიდან იმ სკანდალური ფაქტის შესახებ, რომელზეც გუშინდელ ნომერში გაუწყეთ, ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის წევრებმა (თავმჯდომარე – ტატო ლასხიშვილი, წევრები – ზურაბ პეტრიაშვილი, ზვიად დარასელი, თემურ ღალანიძე) იმსჯელეს და ასეთ განაჩენზე შეჩერდნენ: ორივე გუნდს ჩაეთვალა წაგება ანგარიშით 0:3 და დაჯარიმდა 500-500 ლარით; 3-3 თამაშიანი დისკვალიფიკაცია და 400-400 ლარიანი სანქცია აკმარეს მოთამაშეებს აფციაურს, გელაშვილს, წინამძღვრიშვილს („ზესტაფონი“), რეხვიაშვილს, დონდაძეს („ოლიმპი“) და მწვრთნელებს ჭიაბრიშვილს („ზესტაფონი“), გაბისკირიას და ბაბუნიძეს („ოლიმპი“). გარდა ამისა, ეს უკანასკნელნი წლის ბოლომდე პირობითად არიან გაფრთხილებულნი.

ბუნებრივია, მომხდარის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ასეთი სასჯელი ლმობიერად გვეჩვენა, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა დისციპლინარებს ბრალს ვერ დასდებ – ისინი დებულების შესაბამისი მუხლის შესაბამისად მოიქცნენ. ასე რომ, თუ გვინდა ვითარების ძირფესვიანად გამოსწორება, უპირველესად თვით დებულება უნდა გავამკაცროთ.

ეტყობა, ასევე ფიქრობდა სფფ პრეზიდენტი დომენტი სიჭინავა და სასწრაფოდ ფედერაციის აღმასკომის საგანგებო სხდომა მოიწვია, მაგრამ, ჰოი საოცრებავ – მისმა



წევრებმა მხოლოდ კოსმეტიკურად შეალამაზეს ზემოთდასახელებული კვარტეტის განაჩენი. კერძოდ, „ოლიმპს“, რომელმაც მინდორზე ატეხილი ცემა-ტყეპის პროვოცირება მოახდინა, 3(!) ქულა დააკლეს, მთავარ მსაჯს გიორგი ვადაჭკორიას, რომელმაც ვადამდე შეწყვიტა თამაში, სამი ტურის განმავლობაში მოუწევს დასვენება, ხოლო მის თანაშემწეებს ორ-ორმატჩიანი სანქცია დაადეს.

**გუშინვე გაიმართა დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩები. გაუწყებთ მათ შედეგებს: „ცხინვალი“ – „დინამო“ 0:0, „მერანი“ (მარტვილი) – „ვიტ ჯორჯია“ 1:0.**

**გია პლატონიშვილი**

კრივი

## საწვრთნელად და საასპარეზოდ



**წლეულს 5 აპრილიდან ერევანში მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირი გაიმართება, ხოლო 20 აპრილიდან ბაქო ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობას უმასპინძლებს.** ამ შეჯიბრებებისთვის მონდომებით ემზადებიან ქართველი სპორტსმენები, რომლებიც ერთობლივი საწვრთნელი შეკრების ჩასატარებლად სომხეთს ეწვივნენ. ერევნის რინგზე მოემზადებიან ალექსან ჩეჩელიანი (48), გიორგი კილანავა (51), მერაბ თურქაძე, იროდი ონაშვილი (ორივე – 54), ნიკოლოზ იზორია (57), კობა ფხაკაძე (60), ლევან ღვამიჩავა, ზაალ კვაჭატაძე (ორივე – 64), კახაბერ ჟვანია (69), ლევან გულედანი, რომან თავაძე (ორივე – 75), რევაზ ქარელიშვილი, ლევან კლდიაშვილი (ორივე – 81), დავით გოგიაშვილი, ჯუსტან ნარსავიძე (ორივე – 91), ბექა ლობჟანიძე, მიხეილ ბახტაძე (ორივე +91).

**7 აპრილიდან ქართველი და სომეხი ახალგაზრდა მოკრივეები თბილისში განაგრძობენ წვრთნას და ბაქოშიც ერთად გაემგზავრებიან.**

კალათბურთი

# ერთი ქულის ფასი



**კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის XVII ტურში დიდ ინტერესს იწვევდა შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდისა და „ბათუმის“ მატჩი. თუ რატომ, ახლავე მოგახსენებთ.**

როგორც ცნობილია, სუპერლიგის დებულების თანახმად პლეი-ოფში ერთმანეთს რეგულარული სეზონის მეოთხე და მეხუთე კლუბები დაუპირისპირდებიან, მათ დუელში კი საკუთარი მოედნის უპირატესობა იმას მიენიჭება, ვინც უფრო მაღალ ადგილს დაიკავებს. ვინაიდან ზღვისპირელებმა პირველ წრეში შინ მეტოქეს თერთმეტი ქულით სძლიეს, სამართალდამცავებს თბილისის სპორტის სასახლეში რევანში მინიმუმ თორმეტი ქულით უნდა აეღოთ, მაგრამ...

დებიუტში სტუმრები მაისურაძის ძალისხმევით 11:0 დაწინაურდნენ. არჩილ ქლენტის შეგირდებმა მდგომარეობა მას შემდეგ გამოასწორეს, რაც ნიკოლაძე და ტყუპი ძმები ბერიშვილები გამოფხიზლდნენ, ხოლო ბევრის აზრით საბოლოო გარდატეხა ბრძოლის ხასიათში მაშინ შეიტანეს, როცა ლაფანაშვილმა ზედიზედ რამდენიმე სამქულიანი ჩააგდო აჭარელთა კალათში. სწორედ ამ დროს შეასრულა მხსნელი შორეული ტყორცნა ლეჟავამ, და, მართალია საფინალო სასტვენამდე 4 წამით ადრე დავით ბერიშვილმა უაღრესად რთული მდგომარეობიდან კიდევ ერთხელ გაახარა პარტნიორები, მაგრამ საჯებმა ჩათვალეს, რომ ამ მომენტში მან ფეხი საჯარიმოს ხაზს დააბიჯა და ხანმოკლე ყოყმანის შემდეგ მხოლოდ ორქულიანად ჩაუთვალეს – 86:75.

ასე რომ, პირად შეხვედრებში საერთო ანგარიში გათანაბრდა, მაგრამ მიზნის მისაღწევად გაცილებით უკეთესი შანსი დავით უსტიაშვილის კრებულს გააჩნია, რადგან, გარდა იმისა, რომ ბურთების შეფარდება 47 ქულით უკეთესი აქვს, უკანასკნელ ტურში „სოხუმს“ მიიღებს მაშინ, როცა შსს ძალებს თბილისის „დინამოსთან“ მოსინჯავს.

**დანარჩენი შედეგები:** „ენერჯი ინვესტი“ – „დინამო“ 107:76, საუ – „მერანი“ (ჭიათურა) 119:97, თსუ – „სოხუმი“ 107:77. ისვენებდა სამედიცინო აკადემია.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ენერჯი ინვესტი“ – 17, საუ – 15, თსუ – 13, „ბათუმი“, შსს – 10-10 მოგება.

**სუპერლიგის ფინიშზე 26 მარტს განსაკუთრებულ ინტრიგას შეიცავს რუსთაველთა და სასოფლოელთა მატჩი.**

ფიგურული ციგურაობა

## მედლებისკენ – „მოლიპული“ გზით



**იტალიის ქალაქ ტურინში ფიგურულად მოციგურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო. შეჯიბრებაში ქართველი სპორტსმენებიც მონაწილეობენ.** გუშინ გვიან ღამით ყინულზე მოცეკვავე წყვილები გავიდნენ. მოასპარეზეთა შორის არიან ელისონ რიდი და ოთარ ჯაფარიძე. 26 მარტს ქალთა მოკლე პროგრამით ელენე გედევანიშვილი ისრიალებს.

ინტერნეტიდან

## ჩერქეზები ოლიმპიადის წინააღმდეგ




**ჩერქეზული დიასპორა მოითხოვს სოჭის 2014 წლის ოლიმპიური თამაშების გაუქმებას. ისინი რუსეთიდან მოითხოვენ ბოდიშის მოხდას მე-19 საუკუნეში დაღუპული ჩერქეზებისთვის იმ ადგილებში, სადაც უნდა გაიმართოს ზამთრის ოლიმპიური თამაშები.** 2014 წელს სრულდება 150 წელი მეფის რუსეთის საბრძოლო კამპანიიდან, რომლის დროსაც სოჭის შემოგარენში დაიღუპა 300 ათასზე მეტი ჩერქეზი, – იტყობინება რეიტერი. „თამაშები წარმოადგენს ჩერქეზეთის ისტორიის ამოძირკვაში რუსეთის პოლიტიკის ნაწილს – განაცხადეს ჩერქეზი ხალხის წარმომადგენლებმა, – ისინი ნაგებობებს აშენებენ მათი მასობრივი დახვრეტის ადგილებზე. ჩვენ ამას ბოლო უნდა მოვუღოთ“.

სოჭის ოლიმპიადა გაიმართება 2014 წლის 7-23 თებერვალს.

## ფედერერის აღიარება



**ბოლო წლების მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელი როჟე ფედერერი აირჩიეს შვეიცარიის ჩოგბურთის ასოციაციის საპატიო წევრად. ოფიციალური ცერემონია გაიმართა ბერნში ასოციაციის დელეგატთა 115-ე შეხვედრაზე. 114 წლის მანძილზე საპატიო წევრად არჩევის პატივი პირველად ერგო მოქმედ სპორტსმენს.** ცერემონიალზე თავად ფედერერი არ ყოფილა, ჯილდო კი მის ნაცვლად მისმა ნათლიამ მიიღო.

არჩევნებზე ფედერერმა მიიღო 11035 ხმა, მისმა უახლოესმა მეტოქემ ნოვაკ ჯოკოვიჩმა კი 8220 ხმა. შვეიცარიელის არჩევნებზე გავლენა არ მოუხდენია მის დამარცხებას წინა კვირაში ინდიანა უელსში.

## ერაყი ფიფაში ბრუნდება

**ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიფა) გააუქმა ერაყის გუნდების მონაწილეობის აკრძალვა საერთაშორისო შეჯიბრებებში გუნდებისა და ნაკრებების დონეზე, რაც გამოწვეული იყო სახელმწიფოს ჩარევით ერაყის ფეხბურთის ასოციაციის საქმიანობაში.**

„ერაყი კვლავ არის ფიფას სრულფასოვანი წევრი, – აღნიშნა ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა. ერაყი დისკვალიფიცირებული იქნა 2009 წლის ნოემბერში, მას შემდეგ, რაც პოლიციამ მიიღო ასოციაციის ოფისების კონ-



ტროლის უფლება, ხოლო მისი დირექტორთა საბჭო დაითხოვეს დასჯილ დიქტატორთან სადამ ჰუსეინთან კავშირის ბრალდებით. აღმასკომის წევრებს აღადგენენ თავიანთ უფლებებში. ბლატერმა ისიც დაამატა, რომ ერაყის ფეხბურთის ასოციაციის (IFA) წესდება უნდა გამოჩნდეს 31 მაისისთვის, ხოლო მისთვის ხმის მიცემის ვადა გაგრძელდეს ორ თვეს.

ამავე დროს უგულებელყოფილია აზიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მოჰამედ ბინ ჰამამას წინადადება, ფიფას პრეზიდენტობის ვადა განისაზღვროს რვა წლით. ამ სიახლეს ხმა მისცეს მხოლოდ აზიის წარმომადგენლებმა, ყველა დანარჩენი კი წინააღმდეგი იყო, უეფას პრეზიდენტის მიშელ პლატინის ჩათვლით.

## დაიღუპა მორბენალი

**კენიის ქალაქ ნიერიში 5000 მეტრზე სირბილის შემდეგ დაიღუპა ცნობილი სტაიერი პეტერ ისაბოკე მოგერა. ფინიშთან მისვლის შემდეგ მან დაიწყო ცივი უალკოჰოლო სასმელის დალევა და უცებ გრძნობა დაკარგა.** კოლეგებმა სცადეს მისი დახმარება, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, ის სასწრაფოდ გადაიყვანეს საავადმყოფოში, მაგრამ ველარ უშველეს. მორბენალი ისე გარდაიცვალა, რომ გონზე არც მოსულა.



## ტიტველი დივერსია

**ასეთად მიიჩნევს ვანკუვერის ოლიმპიურ თამაშებზე ბელორუსიის ჰოკეისტთა ნაკრების გასახდელთან შიშველი ფინელი ჰოკეისტის ქალების გამოჩენას ბელორუსიული ნაკრების მთავარი მწვრთნელი მიხაილ ზახაროვი. ამის შედეგი იყო, რომ ბელორუს ჰოკეისტებს საზოგადოებრივ ტუალეტში მოუხდათ სირბილიო.**

„ვერც კი წარმოიდგენთ, თუ რა ხდებოდა იქ! საიდანღაც გამოჩნდნენ ეს ფინელი ქალები, რომელთაც იმ დღეს თამაში არ ჰქონდათ, მხოლოდ უნდა ევარჯიშათ, – შფოთავდა ზახაროვი, – ჩვენი მოთამაშეები იძულებულნი იყვნენ, ერბინათ საზოგადოებრივ ტუალეტში, რადგან ჩვენსაში ვერ შედიოდნენ ამ ქალების გამო“, გენახათ, რა ამბავი ატყდებოდა ეს ჩვენთან, მინსკში რომ მომხდარიყო. და კანადელებს სხვა ტუალეტში რომ ერბინათ“.



ჩვენი მწარე რეალობა

# ქალაქში უჩინმაჩინის ქუდით

## ორი პატარა რეპორტაჟი თბილისის ცხოვრებიდან

### დამარცხებული კონტროლიორები

**„ვგონებ, არა ქვეყანაში არ მოხდეს ის, რაც ასე აშკარად ჩვენში მოხდება ხოლმე. საკვირველია!.. რაც უნდა უშვერი, უმსგავსო, სულელობით აღსავსე საქმე იყოს, ჩვენში ფეხს გაიდგამს ხოლმე, მერე ისე, რომ ყურსაც არავინ შეაბღერტინებს. არც მის მომქმედსა აქვს შიში, რომ მოვა დრო და მომკითხავს ვინმეო“ – ილია ჭავჭავაძე.**

ერთ დღეს გადავწყვიტე ჩვენს ქალაქს ღრმად დავკვირვებოდი, დამენახა ის, რასაც, ნებსით თუ უნებლიეთ, ვერ ვხედავდი ან ვხედავდი და ყურადღებას არ ვაქცევდი. ჰოდა, უჩინმაჩინის ქუდი დავიხურე. დავდივარ ნაცნობ ქუჩებში. ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს სხვა ქალაქში ვარ. რა კარგი ყოფილა, როცა არავინ გამჩნევს. თითქოს მოვლენებისა და ადამიანური ურთიერთობების სიღრმეებში აღმოვჩნდი...

მოქმედების ადგილი – ყვითელი ავტობუსი. დრო 11:05, 6.03.2010...

07 წუთი. გაჩერება. ორი კონტროლიორი, ამჯერად ორივე კაცია. წლოვანება 40-50 წელი. კუტკუნები და ღაჟღაჟა ლოყებით. ერთი წინიდან ამოდის, მეორე – უკნიდან...

– წარმოადგინეთ ბილეთები!..

ჩვეული რეაქცია: აჟიოტაჟი მგზავრებს შორის. ხალხი აბზუილდა. თითოეული ჯგლეთვით მიიწევს სალაროსკენ. თუ გაგიმართლა და აღება მოასწარი, ხომ კარგი, თუ ვერა, მაშინ ოოო, ხუთლარიან ჯარიმას თავს ვერ აარიდებ, რაც, ბუნებრივია, არავის სურს.



ერთმა გოგომ სიტუაციას ალღო ვერ აუღო. ან რაჭველია, ან თავისი მიმზიდველობის იმედი აქვს.

დიალოგი დამჯარიმებელსა და მსხვერპლს შორის:

– თქვენი ბილეთი!
– აღება ვერ მოვასწარი...
– რატომ?
– ნახეთ, რა რიგია!
– ჩამობრძანდით!
– სად?
– გაჩერებაზე.
– რატომ?
– ნუ მიწევთ წინააღმდეგობას.

ერთ-ერთი მგზავრი მომრიგებლის როლში:

– ადგილზე რატომ არ აჯარიმებთ? განა თქვენ ჩაყვანის უფლება გაქვთ?

– თქვენ ვინ გეკითხებათ, უნდა ჩამომყვეს...

პაექრობა დიდხანს გაგრძელდა. კონტროლიორები დამარცხდნენ. უბილეთო მგზავრი ვერ დააჯარიმეს. მოვალეობა შეუსრულებელი დარჩათ...

უჩინმაჩინის ქუდით ქალაქში მოგზაურობას ვაგრძელებ. რუსთაველის გამზირზე ფეხით მივდივარ. უკვე 11:30 წუთია, ე. ი. ყველა მაღაზია ღია უნდა იყოს, მაგრამ...

### შერჩეული „ბარბები“?

**უცნაურია, რუსთაველის გამზირზე 6 მარტს, შაბათ დღეს, დღის თორმეტის ნახევარზე რამდენიმე მაღაზია დაკეტილი დამხვდა. ჩემი ყურადღება ერთ-ერთმა სავაჭრომ მიიპყრო. ვიტრინაზე სამი გულია გამოსახული წარწერით: „მიყვარხარ“. წარწერამ მაფიქრებინა, რომ აქ ყველას ყველა უყვარს. თურმე ვცდები.**

კარს მივაწექი. გაიღო.

– მანდ ნუ ეკვეხები!

ხანდაზმული ქალი მეხდაცემულივით ჩერდება. აქეთ-იქით იხედება, რომ აღმოაჩინოს „მანდ“ შესვლის რაიმე ამკრძალავი ნიშანი. გაოცებული ტრიალებდა და კითხვას სვამს – რატომ?

პასუხი აგრესიულია: – იმიტომ, რომ აღწერაა. დაბნეული ქალი ერთ კუთხეში, „ფეშენ-ფეშენ“ ჩაცმულ ოთხ გოგონას, რომლებიც შემოსულ მყიდველს აინუნშიც არ აგდებენ, მიმართავს: – კი, მაგრამ ხვალ რვა მარტია და ასეთ დროს აღწერა ვის გაუგია? – მერე ძალზე გულდაწყვეტილი ამატებს – ასეთი რამ მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში შეიძლება მოხდეს.

ჰოი, საოცრებავ! ერთ-ერთი ქართველი „ბარბი“, ანუ გამყიდველი, რომლის ფუნქციაც მყიდველის მომსახურებაა და სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაწყვეტა არ ევალება, ყოველგვარი შესავლის გარეშე ყვირილს იწყებს: – **ვისაც არ მოსწონს ჩვენი ქვეყანა, შეუძლია აქედან წაბრძანდეს, არავინ იჭერს!** ხანდაზმული მყიდველი წყნარი ტონით ანდაზას იშველიებს: „მოყვარეს პირში უძრახეო“, არ გაგიგონიათ?

– არც გამიგონია და არც მაინტერესებსო! – წარბს იკრავს „ბარბი“.

შეურაცხყოფილი და გალანძღული ქალბატონი გარეთ გადის. მეც უკან მივყვები. ქალში ის ადამიანი შევიცანი, რომელმაც არაერთი თაობა გაზარდა. ნეტავ ვიცოდე, მაღაზიის მეპატრონემ თუ იცის, რა „ბაგაჟის“ პერსონალი ჰყავს. ნუთუ ვერ მოიცალეს და საქართველოში გაფეტიშებული უნარ-ჩვევათა ტრეინინგები ვერ ჩაუტარეს შერჩეულ „ბარბებს“, რომლებსაც უმთავრესი – ზრდილობა არ აქვთ (სხვა რა მოვალეობა აკისრიათ!ძ! მოვიშველიებ აკაკი ბაქრაძის სიტყვებს:

**„თუ არ მოხდება ადამიანის სულიერი განწმენდა, განახლება, აღორძინება, არავითარი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური გარდატეხა-რეფორმა ნაყოფს არ გამოიღებს“.**

**ეკა მაშიანოვა**

ინიციატივა

**გაზაფხული დადგა და საგაზაფხულო სამუშაოებიც დაიწყო, იმის მიუხედავად, რომ კვირა ისე არ გავა, თუ მეწყერი, ზვავი, წყალდიდობა ან ქარიშხალი არ დაგვატყდა თავს. რა თქმა უნდა, გახშირებული კატაკლიზმები მარტო იმით არაა გამოწვეული, რომ როგორც ამბობენ, დედამიწა 8 სანტიმეტრით გადაიხარა. კლიმატის გაუარესებაში ჩვენც მიგვიძღვის წვლილი.**

# დარგე ხე – გაამწვანე გარემო!



რამდენიც შეგვეძლო ვჭერით და ვხერხეთ ხეები, გავანადგურეთ მწვანე საფარი და შედეგმაც არ დააყოვნა. სწორედ დროული იყო პატრიარქის ინიციატივა, რომელიც შემოდგომის პირს გაცხადდა. საქმე ეხებოდა თითოეული ადამიანის მიერ წელიწადში 12 ხის დარგვას. თავის მხრივ, გარემოს დაცვის სამინისტრო აქტიურად ცდილობს თბილისის გამწვანებას, როგორც ცნობილია, ჩვენი დედაქალაქი ყველაზე ნაკლებად ევროპის დედაქალაქებს შორის სწორედ გამწვანებით დაიკვეხნის. პრობლემას ქმნის ისიც, რომ 40-მდე დასასვენებელ-რეკრეაციულ ზონას სტატუსი მოეხსნა, ხოლო „მზიურზე“ გაივლის ახალი გზა (ესტაკადაძ, რომლის აშენებაც უკვე აქტიურად მიმდინარეობს. მართალია თბილისის მერიაში აცხადებენ, რომ ახალი პროექტი მწვანე საფარს არ დააზიანებს და პირიქით, მიმდებარე ტერიტორია განიტვირთება და გამონაბოლქვიც ნაკლები იქნებაო, მაგრამ ამ გზის მშენებლობას ბევრი მაინც თავდაუზოგავად აკრიტიკებს.

ასეა თუ ისე, ქალაქი სულ რომ ამაზონის ჯუნგლებში მდებარეობდეს, მოვლასაც საჭიროებს და გაფრთხილებასაც. თბილისში კი ჯანსაღი ჰაერი ნამდვილად გვაკლია, ამიტომ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინიციატივით, გაზაფხულის დადგომასთან ერთად „დარგე ხე – გაამწვანე შენი გარემო“ აქცია განახლდა. თბილისის ქუჩებში ისევ გამოჩნდება ნერგებით დატვირთული სპეციალური მანქანა, რომელიც დედაქალაქის მოსახლეობას სხვადასხვა სახეობის (იფანი, ნეკერჩხალი, საპნის ხე, შავი ფიჭვი, თრიმლი, ველური ნუში, ფშატიძ ნერგებით უსასყიდლოდ მოამარაგებს. მწვანე მანქანა ქუჩებში ყოველდღე 11-დან 19 საათამდე ერთი თვის განმავლობაში იმოძრავებს. ამ თემას გარემოს დაცვის მინისტრმა სპეციალური ბრიფინგი მიუძღვნა.

– შარშან შემოდგომასა და გაზაფხულზე ჩვენმა სამინისტრომ ჩაატარა გამწვანების აქცია, რომლის ფარგლებშიც დედაქალაქსა და საქართველოს რეგიონებში 300 ათასზე მეტი ნერგი დაირგო. ასევე, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით თითოეულმა ადამიანმა წელიწადში 12 ნერგი უნდა დარგოს. მინდა მოსახლეობას ვაცნობო, რომ გამწვანების აქცია ისევ გრძელდება. მოვუწოდებ ყველას შეუერთდნენ ჩვენს ინიციატივას. თუ არ დავიცავთ გარემოს, მომავალში გავხდებით გარემოსგან დასაცავი. – აცხადებს **გოგა ხაჩიძე**.

გუშინ მინისტრმა, მსოფლიო მეტეოროლოგიის დღესთან დაკავშირებით, საუკეთესო მიღწევებისთვის, მეტეოროლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლები მადლობის სიგელით დააჯილდოვა. – დღეს მსოფლიო მეტეოროლოგიის საერთაშორისო დღე აღინიშნება, ამასთან დაკავშირებით მეტეოროლოგიური დეპარტამენტის თანამშრომლებს წარმატებული საქმიანობისთვის მინდა მადლობის სიგელი გადავცე. ახლო წარსულში ამინდის ზუსტი პროგნოზირება შეუძლებელი იყო. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის მიღწევები, რომელიც გარემოს ეროვნულ სააგენტოს ამ სფეროში გააჩნია. – **განუცხადა მინისტრმა მეტეოროლოგებს.**

ასე რომ, დავრგოთ ხეები, იმ მცირედით მაინც ვისარგებლოთ, რასაც ხელისუფლების ერთი შტო უფასოდ გვთავაზობს, თორემ იმის იმედად ყოფნა, რომ სანამ ერთი ხე მაინც დგას, დედამიწა იარსებებსო, ხეირს არ დაგვაყრის.

გარემოს დაცვის სამინისტროდან კი გამწვანების ახალ აქციაზე დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება ცხელ ხაზზე 070 ოცდაოთხსაათიან რეჟიმში შეგეძლებათ.

**ანა წიწილაშვილი**

ინფორმაცია

### პატივი მიაგეს



**ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა პატრიკ ჰიკმა, „ვანკუვერი-2010“-ის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელმა ჯონ ფურლოკმა, ციგაობაში ვანკუვერის ოლიმპიურმა ჩემპიონმა და დელეგაციის სხვა წევრებმა ქართველი ოლიმპიელის ნოდარ ქუმარიტაშვილის ოჯახი მოინახულეს. ბაკურიანის მაცხოვრის შობის ტაძარში ქუმარიტაშვილის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდიც გადაიხადეს.**

**დელეგაციამ ბაკურიანში ის ტერიტორია დაათვალიერა, სადაც საციგაო ტრასის აშენება იგეგმება. მათი თქმით, ბაკურიანში ნოდარ ქუმარიტაშვილის სახელობის სპორტული კომპლექსიც აშენდება.**

**საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრის, მოციგავე ნოდარ ქუმარიტაშვილის გარდაცვალებიდან გუშინ 40 დღე შესრულდა. აღნიშნული ვიზიტი სწორედ ამ ფაქტს მიეძღვნა.**

### დააკავეს მძევალზე მონადირენი

**სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედგად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ფულის გამოძალვის მიზნით, მძევლად ხელში ჩაგდების მცდელობის ფაქტზე, ქ.თბილისში ლუბლიანას ქუჩაზე დააკავეს 1968 წელს დაბადებული ზაზა კაზიმირის ძე აბაშიძე და 1976 წელს დაბადებული ირაკლი კვინიკაძე.**

**ასევე დაკავებულები არიან აღნიშნული დანაშაულების ჩადენაში ეჭვმიტანილები: 1973 წელს დაბადებული რამაზ მოძღვრიშვილი და 1973 წელს დაბადებული გულადი გოგოჭური.**

**დაკავებულებმა აღიარეს ჩადენილი დანაშაული. გამოძიება მიმდინარეობს სსკ-ის მე-19 და 144-ე მუხლებით. გამოძიებას აწარმოებს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი.**

ჯი-ეიჩ-ენი

## განცხადება

2010 წლის 15 აპრილს 15 საათზე ჩატარდება სააქციო საზოგადოება „ოპიზარის“ აქციონერთა საერთო კრება, მისამართზე: ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. №121.

დღის წესრიგი:

1. 2009 წლის ბალანსის შედეგების განხილვა
მომხს. ნ. გუმბერიძე;
2. მოგების განაწილების შესახებ დამტკიცების მიღება
მომხს. ც. მიქაძე;
3. სხვადასხვა.

სს „ოპიზარის“ აქციონერთა რეგისტრაციის სააღრიცხვო დღეა 2010 წლის 1 მარტი.

დირექტორი ნ. გუმბერიძე

## ყველაფერი ყველაფერზე

### „ბრძოლის დროს" მორცხვია!"



მეფის მთავრობა ფიქრობდა, რომ გენერალი ერმოლოვის მმართველობამ კავკასიაში რუსეთს კარგი არაფერი მოუტანა და ამიტომ იგი ყოველგვარ საქმიანობას ჩამოაშორა. გენერალი უსაქმურობას ვერ იტანდა, მაგრამ რა გაეწყობოდა. წიგნების გადაკვრა და მათი ყდებში ჩასმაც დაიწყო, რაც ძალიან ართობდა. ამასთან ძალიან ხშირად კავკასიაში ყოფნის დროს ყოფილი თანამებრძოლები ეწვეოდნენ ხოლმე და სხვადასხვა საქმეზე აზრს ეკითხებოდნენ, უპირველეს ყოვლისა კი იმ გენერლებზე, რომლებიც კავკასიაში შამილის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ერმოლოვს არც ერთი მათგანი არ მოსწონდა და მცდარ მოქმედებას უკიჟინებდა.

როცა ერთ გენერალზე ჰკითხეს, როგორია იგი ბრძოლის დროსო, მოკლედ მოუჭრა: „მორცხვია!"

### ფლორენცია, დიდი პიროვნების სამშობლო



**ფლორენცია, სადაც კლიმატი ძალიან რბილია, მიწა კი მეტად ბორცვიანი, ასეთი ბუნებრივი პირობების გამო იქცა დიდი ადამიანების სამშობლოდ.** საკმარისია დავასახელოთ დანტე, ჯოტო, მაკიაველი, ლეონარდო და ვინჩი, ჩელინი, ბოკაჩო და ვინ იცის, კიდევ რამდენი, – ეს განთქმული მეცნიერის ჩეზარე ლომბროზოს აზრი გახლავთ.

### რამდენად სახიფათოა წიგნის მტვერი?

**ადამიანები, რომლებიც, ეტყობა, მოკლებული არიან იუმორის გრძნობას, ბიბლიოთეკაში დღე და ღამე მომუშავეებს აფრთხილებენ, რომ აქ მათ ემუქრება მეტად სახიფათო ავადმყოფობა – წიგნების მტვერი. ეს მტვერი კი ასობით ბაცილითაა სავსე, რომლებიც პირდაპირ უტევენ ფილტვებს.**

ამ ბოროტი ლეგენდის წინააღმდეგ გაილაშქრა გერმანელმა ბიბლიოფილმა ფიშერ ფონ რიოსტერშტამმა, რომლის წიგნს სწორედ ასე ქვია: „საზიანოა თუ არა ადამიანისთვის წიგნის მტვერი?"



ავტორმა შეაგროვა მონაცემები ცნობილ ბიბლიოთეკარსა და ბიბლიოფილზე და გამოარკვია, რომ ისინი საშუალოდ 29 წელს ცხოვრობდნენ. შემდეგ ფიშერ ფონ რიოსტერშტამმა უკვე წიგნის გამომცემლები და წიგნით მოვაჭრეები შეისწავლა, და, რას ვხედავთ, ისინიც საშუალოდ 29 წელს ცხოვრობენ (მართალია, მონაცემები ამჯერად უკვე 109 ადამიანს ეყრდნობოდაძ. შემდეგ ასეთი ცდა ჩაატარა: ასო „მ"-ზე 230 მეცნიერი გამოარჩია, რომლებმაც მთელი თავისი ცხოვრება წიგნების სამყაროში გაატარეს. მათ საშუალოდ 74 წელი უცხოვრიათ. ბოლოს ლიტერატურათმცოდნეები შეისწავლა, აქ კი 71 წელი მიიღო.

### „ვარდის ქვეშ"

**ეს რომაული პირობითობა სრული საიდუმლოს დაცვას ნიშნავს. ვარდი რომაელებისთვის საიდუმლოს ემბლემა იყო. როცა საზეიმო ნადიმის დროს მასპინძელი მაგიდის ქვეშ ვარდს დებდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ყველაფერი, რასაც ამ ნადიმის დროს იტყოდნენ, საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო.**

შემდეგში იმ დაწესებულებების ჭერზე, სადაც სხდომები მიმდინარეობდა, ვარდის ორნამენტს ამოკვეთავდნენ ხოლმე. მიზეზი იგივე იყო: საიდუმლოს სრული დაცვა.

მოამზადა
**გივი გამრეკელმა**

## დღის კალენდარი

## 24 მარტი

სოფრონ იერუსალიმელი პატრიარქისა (638-644ძ; მღვდელმოწამისა პიონისი, ზმირნელი ხუცისა და მისთანათა (250ძ; აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა მოწამისა ეპიმაქესი; სოფრონ ვრაჩანელი ეპისკოპოსისა (ბულგ.ძ (1813ძ ; ღირსისა იოანე მოსხისა (622ძ.



ამოდის 05.58
ჩადის 18.17



ამოდის 11.33
ჩადის 02.10

### დაიბადნენ:

**1842 – ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძე,** ილია ჭავჭავაძის მეუღლე, გარდაიცვალა 1927 წელს.

**1900 – ივან კოზლოვსკი,** გამოჩენილი რუსი საოპერო მომღერალი.

**1917 – ჯონ კოუდერი,** ინგლისელი ბიოქიმიკოსი და ბიოფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**1921 – ვასილ სმისლოვი,** რუსი მოჭადრაკე, მსოფლიოს მე-7 ჩემპიონი.

### გარდაიცვალნენ:

**1603 – ელისაბედ I,** ინგლისის დედოფალი.

**1882 – ჰენრი უდსორთ ლონგფელი,** ამერიკელი პოეტი.

**1948 – ნიკოლაი ბერდიაევი,** ფილოსოფოსი.

**1948 – კონსტანტინ იღუმანოვი,** კომპოზიტორი, პედაგოგი, დაიბადა 1873 წელს.

### მოვლენები:

**1779 წელი** – გაიმართა მეორე მასონური ზეიმი ჯორჯ ვაშინგტონის მონაწილეობით.

**1878 წელი** – ბრიტანეთის სამხედრო ნავი კუნძულ უაიტის ნაპირთან გრიგალმა წუთნახევარში ჩაძირა. 300-კაციანი ეკიპაჟიდან მხოლოდ ორი გადარჩა.

**1901 წელი** – გაიხსნა მოსკოვის კონსერვატორიის დიდი დარბაზი.

**1971 წელი** – ლონდონის ერთ-ერთ ლაბორატორიაში მაგნიტოფონის ფირზე ჩაიწერეს „საიქიოს ხმები".

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**ტუბერკულოზთან ბრძოლის მსოფლიო დღე.**

**ზამბია** – აფრიკის დღე.

**მედიანიუსი**

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7327 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3887 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6599 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.8354 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.3765 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1570 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1722 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1426 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5386 ლარი |



**აუდიტი 34-84-83, 899 49-19-97**

## განცხადება ტენდერის შესახებ

**სს „ელმავალმშენებლის" სატენდერო კომისია 2010 წლის 24 მარტიდან აცხადებს ტენდერს ნეონის მოცულობითი მანათობელი წარწერის „სასტუმრო ალიონი – Hotel Alioni" დამზადებისა და მონტაჟის მომსახურების შესყიდვაზე. ტენდერში მონაწილეობა შეუძლია ყველა დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირს.**

**ტენდერში მონაწილეობისათვის პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ:**

1. განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს შესასრულებელი სამუშაოს ღირებულებას, შესრულების ვადას, საგარანტიო პირობებს.

2. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირებისათვისძ, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და ინდ. მეწარმის რეგისტრაციის საბუთი (ფიზიკური პირებისათვისძ.

3. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიერ არ მიმდინარეობს გადახდის უუნარობის საქმის წარმოება.

4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულება 2-პროცენტიანი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 50 დღე სატენდერო პაკეტების გახსნის დღიდან.

დოკუმენტაციის ჩაბარება დახურული კონვერტით შესაძლებელია 2010 წლის 12 აპრილის 15 საათამდე მისამართზე: დ. გურამიშვილის 84, ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართული.

**ტენდერი შედგება 2010 წლის 12 აპრილს 15 საათზე მისამართზე: დ. გურამიშვილის 84, ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართული. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 8 77 50 10 34, 65 31 34, 8 58 77 73 73, 65 48 19.**

**სს „ელმავალმშენებლის" მუდმივმოქმედი სატენდერო კომისია**

რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

საქართველოში ერთი სახელისუფლებო პარტიაა – ნაციონალური მოძრაობა, რომელიც სამ განშტოებად იყოფა: აღმასრულებლად, საკანონმდებლოდ და სასამართლოდ.

* * *

პარიკმახერ მიხოს კლიენტი მიუვიდა. გაკრიჭა, გაპარსა.

– სად ზის თქვენი მოლარე? – ეკითხება კლიენტი.

– რად გინდა, რაო, მოლარემ გაგკრიჭა?



* * *

სამსართულიანი მაგიდა ხორაგის სიმძიმით ჩაზნექილა. ერთი სტუმარი ზედიზედ აცარიელებს ხიზილალიან თეფშებს.

– ივან, აქ მარტო ხომ არა ხარ. ამ სუფრას ბევრი პატივსაცემი ადამიანი უზის, რომელთაც ასევე უყვართ ხიზილალა! – ეუბნება გვერდით მჯდომი.

ივანს თქვლეფა არ მიუტოვებია, ისე უპასუხა:

– არა მგონია, ისე ძალიან უყვარდეთ, როგორც მე.

* * *

ხალხით გადაჭედილ ტრამვაიში მიხოს ნატაშა უჯიკავებს:

– მამაკაცო! მამაკაცო-მეთქი!

– უკაცრავად, ქალბატონო, მაგრამ რაღაც ვერ ვიხსენებ, როდის მქონდა თქვენთვის ამის დამტკიცების ბედნიერება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.